საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 21 (20062) კვირა, 24 იანვარი, 1988 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

22 იანვარს გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელმაც განიხილა სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1987 წლის სახელმწიფო გეგმისა და სსრ კავშირის 1987 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შედეგები, იმსჯელა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ და განსაზღვრა 1988 წლის გეგმისა და ბიუჯეტის შესრულების ამოცანები.

როგორც სხდომაზე აღინიშნა, ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაში სასიკეთო ცვლილებები ხდება იმის შედეგად, რომ თავდადებით შრომობს საბჭოთა ხალხი სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების, სოციალ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების პარტიისეული სტრატეგიული კურსის პრაქტიკული ხორცშესხმის, საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს დემოკრატიზაციისა და რადიკალური ეკონომიკური რეფორმის განხორციელების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრისა და ივნისის პლენუმების მითითებათა რეალიზაციისათვის.

შეაფასა რა ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნის პირველ ეტაპზე ეკონომიკური განვითარების შედეგები, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ხუთწლედის ორი წლის მანძილზე სამრეწველო წარმოების მატებამ, როგორც ეს გეგმით იყო გათვალისწინებული, 8,9 პროცენტი შეადგინა. სტაბილური განვითარების გზაზე დგება სოფლის მეურნეობა, განსაკუთრებით — მეცხოველეობა. მარცვლეულის ყოველწლიური მთლიანი მოსავალი 210 მილიონ ტონას სჭარბობდა, რაც 17 პროცენტით მეტია, ვიდრე მეთერთმეტე ხუთწლედის წლებში. ხორცის წარმოების საშუალო წლიური მოცულობა გაიზარდა 13 პროცენტით, რძისა — 8,7 პროცენტით. გაძლიერდა საზოგადოებრივი წარმოების ზრდის ინტენსიური ფაქტორების როლი. შრომის ნაყოფიერების დავალებანი გადაჭარბებით შესრულდა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. პროგრესული ცვლილებები მოხდა პროდუქციის განახლებასა და ტექნიკურ დონეში. ხორციელდებოდა ძალების და სახსრების კონცენტრაცია საწარმოთა პოტენციალის ტექნიკური განახლებისათვის. 1985 წლის 39 პროცენტთან შედარებით 46 პროცენტამდე გაიზარდა მოქმედ საწარმოთა ტექნიკური განახლებისა და რეკონსტრუქციისათვის კაპიტალური დაბანდების წილი.

მიზანდასახულად ხორციელდებოდა ეკონომიკის განვითარების სოციალური მიზანმიმართულების გაძლიერების გეზი. 1985 წელთან შედარებით 1987 წელს საცხოვრებელი სახლების ჩაბარება გაიზარდა 15 პროცენტით, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებებისა — 16, საავადმყოფოებისა — 17, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა — 27, პოლიკლინიკებისა — 34, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისა — 65, კლუბებისა და კულტურის სახლებისა — 72 პროცენტით. მუშამოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი ორი წლის მანძილზე გაიზარდა 5,9 პროცენტით, ხოლო კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება — 8,9 პროცენტით. გაფართოვდა სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა. მოიმატა მოსახლეობის რეალურმა შემოსავალმა.

მთლიანი ეროვნული პროდუქტი, რომელიც როგორც საწარმოო, ისე არასაწარმოო საქმიანობის სფეროების საბოლოო შედეგებს ასახავს, 1985 წელთან შედარებით 8 პროცენტით გაიზარდა.

1987 წელს დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის ფართოდ გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების დროს მნიშვნელოვნად გაძლიერდა მშრომელთა შემოქმედებითი აქტიურობა. მრავალი წლის მანძილზე პირველად მოხდა, რომ წარმოების მთელი მატება უზრუნველყოფილ იქნა მატერიალური სფეროს დარგებში დასაქმებულ მუშაკთა რიცხვის გაუდიდებლად. სამრეწველო წარმოების მატების ტემპმა შეადგინა 3,8 პროცენტი, რაც გეგმას შეესაბამება. დადებითი შედეგებია მიღწეული სათბობ-ენერგეტიკული და მეტალურგიული კომპლექსების დარგებში. განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებანი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დასაჩქარებლად; სახელმწიფო მიღების დანერგვამ დადებითი გავლენა მოახდინა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაზე. სახელმწიფო კაპიტალური დაბანდების მოცულობა 5 პროცენტით გაიზარდა.

სულ უფრო შესამჩნევი ნაყოფი გამოაქვს ღონისძიებებს, რომლებიც სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის მიზნით ხორციელდება. სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებზე გადაყვანილია 2,5 ათასი სამრეწველო გაერთიანება და საწარმო, და მათი საწარმოო საქმიანობის მაჩვენებლები უფრო მაღალია, ვიდრე საერთოდ მრეწველობაში.

ამასთანავე, როგორც სხდომაზე აღინიშნა, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მთელი რიგი მიმართულებებით ჯერ კიდევ ვერ მიგვიღწევია არსებითი წინსვლისათვის. მთლიანად ვერ შესრულდა წარმოებული ეროვნული შემოსავლის მატების დავალება, ორ წელიწადში იგი დაგეგმილი 8,2 პროცენტის ნაცვლად 6,5 პროცენტით გაიზარდა. ეს უწინარეს ყოვლისა განაპირობა საზოგადოებრივი წარმოების მასალატევადობის ნელმა კლებამ, საგარეო ვაჭრობის შემოსავლის შემცირებამ, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების სტრუქტურის არასაკმაოდ აქტიურმა ცვლამ და მოცულობის ზრდის შენელებამ. 1987 წელს ეროვნული შემოსავლის მატების დავალების უკმარშესრულებამ 13 მილიარდი მანეთით შეზღუდა ქვეყნის საწარმოო და სოციალური განვითარების დაჩქარების შესაძლებლობანი.

ფინანსების დარგში კვლავინდებურად დაძაბული მდგომარეობაა უმთავრესად იმის გამო, რომ ბევრია ზარალიანი საწარმოები, ჯერ კიდევ მნიშვნელოვანია უნაყოფო ხარჯები და დანაკარგები სახალხო მეურნეობაში, ტექნიკური პროგრესი ჯერ არ გამხდარა საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციის გადამწყვეტი ფაქტორი, ხოლო რესურსდაზოგვა — წარმოების მოცულობის შემდგომი მატების უზრუნველყოფის მთავარი წყარო, სამეურნეო ცხოვრების ნორმა. ეროვნული შემოსავლის ენერგოტევადობა გასულ წელს 0,9 პროცენტით გაიზარდა 1,8 პროცენტის ოდენობით დაგეგმილი შემცირების ნაცვლად, ხოლო მისი მასალატევადობა მხოლოდ 1,8 პროცენტით შემცირდა გეგმით გათვალისწინებული 4,3 პროცენტის ნაცვლად. გაიზარდა მატერიალური დანახარჯები სოფლის მეურნეობაში.

სსრ კავშირის მთავრობამ ყოველმხრივ განიხილა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა და 1987 წელს გაწეული მუშაობის შედეგები, და საგანგებოდ აღნიშნა, რომ ეკონომიკაში ჯერ კიდევ არ გამხდარა სტაბილური პოზიტიური ცვლილებები. იმის გამო, რომ ხარვეზებია ორგანიზატორულ და სამეურნეო საქმიანობაში, სსრ კავშირის მთელი რიგი უწყება-სამინისტროები, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, გაერთიანებები, საწარმოები და ორგანიზაციები სუსტად მოემზადნენ ახალ პირობებში მუშაობისათვის, გასული წლის პირველ თვეებში დაშვებულია წარმოების დაქვეითება. თუმცა მიღებულ ღონისძიებათა შედეგად მეორე ნახევარწლეულის დამდეგიდან მდგომარეობა გამოსწორდა და მრეწველობა ძირითადად ჩადგა წლიური გეგმის რიტმში, დანაკლისი მაინც მნიშვნელოვანია.

ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ყურადღება მიაპყრო საზოგადოებრივი წარმოების ჩამორჩენილ უბნებზე არსებული მდგომარეობის ანალიზს და კონკრეტულ ღონისძიებათა შემუშავებას სახალხო-სამეურნეო კომპლექსებისა და მათი ცალკეული დარგების მუშაობის ეფექტიანობის ასამაღლებლად.

აღინიშნა, რომ უკანასკნელ ხანს მანქანათმშენებლო კომპლექსის მუშაობის ერთგვარი გაუმჯობესების მიუხედავად მთლიანად მანქანათმშენებლობის დარგებში არ გამოსწორებულა საქმის მდგომარეობა. პროდუქციის გამოშვება აქ 4,6 პროცენტით გაიზარდა დაგეგმილი 6 პროცენტის ნაცვლად. ყველაზე მეტი ჩამორჩენა დაუშვეს სსრ კავშირის ჩარხმშენებლობის სამინისტრომ, სსრ კავშირის მსუბუქი და კვების მრეწველობის მანქანათმშენებლობის სამინისტრომ და სსრ კავშირის მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტრომ.

სუსტად გამოიყენება რეზერვები ქიმიური, ხე-ტყის, ხისდამამუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის საწარმოებში იმ მიზნით, რომ უფრო სრულად დააკმაყოფილონ სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებანი ამ დარგების პროდუქციაზე.

არ არის უზრუნველყოფილი ძირეული სასიკეთო ძვრები კაპიტალურ მშენებლობაში. ძირითადი ფონდების ამოქმედების წლიური გეგმა შესრულებულია მხოლოდ 92 პროცენტით, ჯერ კიდევ ხშირია სამშენებლო წარმოების რიტმიდან ამოვარდნისა და სამუშაოთა მდარე ხარისხის ფაქტები.

მთელი რიგი რესპუბლიკების აგროსამრეწველო კომპლექსებში დაიკლო მთლიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საერთო მოცულობამ, შემცირდა კარტოფილის, ბოსტნეულის, ხილის, ხამი ბამბის წარმოება. კვლავინდებურად არის სერიოზული ნაკლოვანებანი სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ტრანსპორტირების, გადამუშავებისა და შენახვის ორგანიზაციაში. გაიზარდა ზარალიან მეურნეობათა რაოდენობა.

გადაზიდვა-გადაყვანის გეგმის საერთო შესრულებასთან ერთად მთელმა რიგმა რკინიგზებმა და სანაოსნოებმა თავი ვერ გაართვეს ტვირთის ტრანსპორტირების დავალებებს, განსაკუთრებით ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში. ჯეროვნად არ არის უზრუნველყოფილი მატარებლების მოძრაობის უსაფრთხოება.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განსაზღვრა მანქანათმშენებლობის, ქიმიურ-სატყეო, სამშენებლო და აგროსამრეწველო კომპლექსების, ტრანსპორტის დარგების მუშაობის გაუმჯობესების კონკრეტული მიმართულებანი. დასახულია აგრეთვე ღონისძიებანი ელექტროენერგეტიკის, ნავთობის, გაზისა და ქვანახშირის მრეწველობის მუშაობის საიმედოობის გასაზრდელად.

იმის გამო, რომ დაძაბული ფინანსური მდგომარეობა შექმნა ბევრ საწარმოსა და ორგანიზაციას, სსრ კავშირის უწყება-სამინისტროებსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს მიეთითათ, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ განახორციელონ ღონისძიებანი ეკონომიკური მუშაობის გასაუმჯობესებლად, ზარალიან საწარმოთა რიცხვის შესამცირებლად, სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების დანერგვისათვის შესაბამისი პირობების შესაქმნელად.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სხდომაზე აღინიშნა, რომ კვლავინდებურად დაბალია სახელშეკრულებო დისციპლინის დონე. მომხმარებლებს მიმწოდებლებმა დააკლეს 12 მილიარდ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია, უწინარეს ყოვლისა, მანქანათმშენებლო და ქიმიურ-სატყეო კომპლექსების პროდუქცია, რასაც, ცხადია, არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა მთელი სახალხო მეურნეობისა და მრავალი შრომითი კოლექტივის მუშაობის სტაბილურობაზე. სსრ კავშირის მთავრობამ უწყება-სამინისტროთა ხელმძღვანელებს მოსთხოვა უზრუნველყონ წესრიგისა და დისციპლინის დამყარება წარმოებაში, ისე დააყენონ საქმე, რომ თითოეულ კოლექტივში უპირველესი მნიშვნელობის ამოცანა იყოს სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულება.

სსრ კავშირის მთავრობის წევრებმა დიდი ყურადღება დაუთმეს სკკპ XXVII ყრილობაზე შემუშავებული სოციალური პოლიტიკის რეალიზაციას. შარშან ამ მხრივ ბევრი რამ გაკეთდა, ამავე დროს არ აღმოფხვრილა სიძნელენი სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურებაზე მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნის დაკმაყოფილებაში. სხდომაზე გააკრიტიკეს სსრ კავშირის მთელი რიგი უწყება-სამინისტროები და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მუშაობა მოსახლეობის სოციალურ საჭიროებათა უზრუნველსაყოფად. აღინიშნა, რომ სსრ კავშირის კავშირგაბმულობის საშუალებათა მრეწველობის სამინისტრომ, სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტრომ, სსრ კავშირის რადიომრეწველობის სამინისტრომ, სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტრომ, სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრომ, სსრ კავშირის ჩარხსაშენებელი მრეწველობის სამინისტრომ და ზოგიერთმა სხვა სამინისტრომ და უწყებამ, უზბეკეთის სსრ, აზერბაიჯანის სსრ და ტაჯიკეთის სსრ მინისტრთა საბჭოებმა თავი ვერ გაართვეს სახალხო მოხმარების სამრეწველო საქონლის წარმოების გეგმის შესრულებას. სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ ვერ შეასრულა წლიური გეგმა და მოხმარებას დააკლო 1 მილიარდი მანეთის პროდუქცია. სერიოზული ხარვეზები იყო სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს და „ცენტროსოიუზის", აგრეთვე მთელი რიგი მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების საქმიანობაში, რომლებიც არ ახორციელებენ ჯეროვან ღონისძიებებს სასურსათო და არასასურსათო საქონლის გამოშვების ზრდის ადგილობრივი წყაროების მოსაძებნად. ყოველივე ამას შედეგად მოჰყვა მრავალი სახეობის საქონლისა და მომსახურების დეფიციტის შენარჩუნება, ნაკლოვანებანი მოსახლეობის ფულადი შემოსავალ-გასავლის შეწონასწორებაში, აგრეთვე საბჭოთა ადამიანების ბევრი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სსრ კავშირის სამინისტროებს, უწყებებსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს მოსთხოვა მიიღონ ეფექტიანი ღონისძიებანი ამ მხრივ საქმის მდგომარეობის ძირეული შეცვლისათვის.

სსრ კავშირის მთავრობამ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის უწყებებსა და სამინისტროებს დაავალა განსაკუთრებული კონტროლი დააწესონ სოციალურ-კულტურული სფეროს მატერიალური ბაზის განმტკიცების, სოციალური მშენებლობის ობიექტებისა და უწინარეს ყოვლისა საცხოვრებელი სახლების მშენებლობის რეზერვების გამოვლენის, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მეურნეობის, სამგზავრო ტრანსპორტზე არსებული სერიოზული ნაკლოვანებების ლიკვიდაციის საკითხებს. დასახულია ამოცანა უფრო აქტიურად განვავითაროთ და უფრო ფართოდ გამოვიყენოთ ამ მიზნით კოოპერაციული და ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის ფორმები. ძირეულად უნდა გაუმჯობესდეს ვაჭრობის ორგანიზაცია.

სსრ კავშირის მთავრობამ განსაზღვრა 1988 წლის გეგმისა და ბიუჯეტის შესრულების ამოცანები და აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს უნდა უზრუნველვყოთ ეკონომიკის ზრდის ისეთი ტემპი, რომელიც გადაამეტებს მეთორმეტე ხუთწლედის საშუალო წლიურ ტემპს, მივაღწიოთ საწარმო-გაერთიანებათა სტაბილურ, რიტმულ მუშაობას და ამის მეოხებით შევქმნათ შესაძლებლობა მთლიანად ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის.

მთელი ორგანიზატორული მუშაობა უნდა ხორციელდებოდეს იმ საფუძველზე, რომ უზრუნველვყოთ საწარმო-გაერთიანებათა ფართო მასშტაბის გადასვლა სრულ სამეურნეო ანგარიშზე, თვითდაფინანსებასა და თვითმმართველობის პრინციპებზე, გავაძლიეროთ მათი დამოუკიდებლობა და თაოსნობა, მაქსიმალურად გამოვიყენოთ ამ მიზნით პირობები, რომლებიც სსრ კავშირის სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) კანონის სამოქმედოდ შემოღების შედეგად შეიქმნა. უნდა ვიღვაწოთ, რომ ამ კანონის მოთხოვნები განუხრელად და მაქსიმალური უკუგებით სრულდებოდეს, რომ მართვის ეკონომიკური მეთოდები მტკიცედ მკვიდრდებოდეს პრაქტიკაში. იმის გამო, რომ სამრეწველო პროდუქციის 60 პროცენტი უნდა გამოუშვან მიმდინარე წლის დამდეგიდან მეურნეობრიობის ახალ პირობებზე გადაყვანილმა გაერთიანებებმა და საწარმოებმა, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო შესაბამის დარგებსა და შრომით კოლექტივებში მთელი ამ მუშაობის ეფექტიანად განხორციელების უაღრესად დიდ მნიშვნელობას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მოსთხოვა სსრ კავშირის უწყება-სამინისტროებს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს გააჩაღონ საწარმო-გაერთიანებათა შრომით კოლექტივებში აქტიური პრაქტიკული მუშაობა წარმოების ყველა უბნის დინამიკური განვითარების უზრუნველსაყოფად მათი ძალისხმევის მობილიზაციისათვის, ეფექტიანად იმუშაონ წლის დაწყებიდანვე, რათა მაღალი შრომითი მიღწევებით შეხვდნენ სკკპ XIX საკავშირო კონფერენციას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ი. ვოროტნიკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ნ. სლიუნკოვი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. ვ. ტალიზინი.

სხდომაზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ი. რიჟკოვი. (ტასსი).

სოციალური სფერო

გარდაქმნის პროცესის მთავარი მოქმედი პირი ადამიანია. შრომისადმი მისი დამოკიდებულება, კოლექტივის წინაშე წამოჭრილი ამოცანების სწორი გაგება და საზოგადოებრივ წარმოებაში შეტანილი წვლილი განსაზღვრავს საბოლოოდ ხალხის კეთილდღეობას, ქვეყნის შეუნელებელ წინსვლას.

ამიტომ დღეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ისეთი გზების ძიება, რომლებიც საშუალებას მისცემს ადამიანს მთლიანად გამოამჟღავნოს საკუთარი შესაძლებლობანი, იშრომოს მაქსიმალური უკუგებით, რაციონალურად გამოიყენოს საწარმოო რესურსები.

როგორც ცნობილია, სკკპ XXVII ყრილობის ყურადღების ცენტრში მოექცა სწორედ ისეთი ღრმად გააზრებული, მიზანმიმართული პოლიტიკის განხორციელება, რომელიც აამოქმედებს საზოგადოებრივი პროგრესის უძლიერეს ფაქტორს — ადამიანის ფაქტორს.

ამას ეხმაურება სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილებაც „აქტიური სოციალური პოლიტიკის რეალიზაციისა და სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის როლის ზრდისათვის მუშაობის გაძლიერების შესახებ". მასში განსაზღვრულია ყველა სამმართველო ორგანოს და შრომითი კოლექტივის მოქმედების გზები მომწიფებული სოციალური საკითხების გადაწყვეტისათვის, შრომის სახელმწიფო კომიტეტის მოღვაწეობის მთლიანი გარდაქმნისათვის, მნიშვნელოვნად ფართოვდება მისი ფუნქციები და ძლიერდება პასუხისმგებლობა შრომასთან დაკავშირებული ამოცანების კომპლექსური გადაჭრისათვის.

ამასთან დაკავშირებით გაზეთ „კომუნისტის" მიმომხილველი შოთა ამაშუკელი ესაუბრა საქართველოს სსრ შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს რუსუდან ჯაფარიძეს.

განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ

შრომის უფლება უძვირფასესი მონაპოვარია

„კომუნისტის" აქტუალური ინტერვიუ

◆ თქვენი კომიტეტის მიერ გადასაწყვეტი საკითხებიდან რომელმა წამოიწია წინა პლანზე?

დღეს გარდაქმნის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია აქტიური სოციალური პოლიტიკის გატარება. კომიტეტის მუშაობაში წინა პლანზე სწორედ ეს საკითხია წამოწეული. ამჟამად მუშავდება ქვეყნის სოციალური განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების 15-წლიანი კომპლექსური პროგრამა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება აქტიური სოციალური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები. მათ შორის შრომის, მოსახლეობის რეალური შემოსავლის, ხელფასისა და მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების, სოციალური სფეროს მატერიალური ბაზის განვითარებისა და მთელი რიგი სხვა პრობლემების გადაწყვეტის გზები და საშუალებები. სწორედ ეს პროგრამა დაედება საფუძვლად 2005 წლამდე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფციას, ძირითად მიმართულებებსა და მეცამეტე ხუთწლედის სოციალურ-ეკონომიკური გეგმის პროექტებს.

ჩვენს მუშაობაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის საკითხი. სახალხო მეურნეობის განვითარების საგეგმო დავალებები, მისი სტრუქტურა, საწარმოთა განლაგება მომავალში უფრო მეტად უნდა დაუკავშირდეს მოსახლეობის განვითარების პრობლემების გადაწყვეტას.

ამ საკითხს ჩვენი რესპუბლიკისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან უკანასკნელი მეოთხედი საუკუნის განმავლობაში მოსახლეობის ბუნებრივმა მატებამ საგრძნობლად იკლო. ამიტომ განსაზღვრულია, რომ კომიტეტი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, სამინისტროების, უწყებების, ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების მონაწილეობით შედარებით მოკლე პერიოდში შეიმუშავებს ეფექტიანი დემოგრაფიული პოლიტიკის რესპუბლიკურ კომპლექსურ პროგრამას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, წლეულს ამოქმედდა კანონი სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ, საწარმოთა დიდი ნაწილი გადავიდა სრულ სამეურნეო ანგარიშზე და თვითდაფინანსებაზე, ინერგება შრომის ანაზღაურების ახალი პირობები, მცირდება სამმართველო აპარატი, რაც გამოიწვევს მუშაკთა ინტენსიურ გამოთავისუფლებას. ჩვენი გაანგარიშებით, მიმდინარე ხუთწლედში რესპუბლიკაში 80 ათას კაცზე მეტი გამოთავისუფლდება. ამავე დროს ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში ჭარბად არის შრომითი რესურსები. გამოთავისუფლებულ მუშაკთა შრომითი მოწყობის საკითხი დღეს ძალზე აქტუალური ხდება.

სწორედ ამის დამადასტურებელია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს ახლახან მიღებული დადგენილება „მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმების უზრუნველყოფის, შრომით მოწყობის სისტემის სრულყოფისა და მშრომელთა სოციალური გარანტიების გაძლიერების შესახებ".

დადგენილებაში ნათქვამია, რომ საჭიროა შეიქმნას მუშაკთა გამონთავისუფლების, მათი შრომითი მოწყობისა და საჭიროების შემთხვევაში გადამზადების, აგრეთვე მათთვის შესაბამისი სოციალური გარანტიების უზრუნველყოფის ეფექტიანი მექანიზმი. ამოცანა ის არის, რომ არა მარტო ყველას მივცეთ სამუშაო, არამედ უზრუნველვყოთ მათი ეფექტიანი დასაქმება, გავაკეთოთ ისე, რომ თითოეული მათგანი გამოვიყენოთ იქ, სადაც მეტ სარგებლობას მოიტანს.

გამოთავისუფლებული მუშაკები, უწინარეს ყოვლისა, უნდა მოვაწყოთ იმავე საწარმოებში მრავალცვლიანი სამუშაო რეჟიმის შემოღების, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაზრდის, აგრეთვე მომსახურების გაფართოების გზით, რომელიც გაეწევა როგორც თვით საწარმოს მუშაკებს, ისე ადგილობრივ მოსახლეობას.

ამ ამოცანის გადაწყვეტაში ხელი უნდა შეგვიწყოს აგრეთვე ახლად ამოქმედებული სახალხო მეურნეობის ობიექტების კადრებით დაკომპლექტებამ, კოოპერატივების განვითარებამ, ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის მასშტაბების გაფართოებამ, ქალებისათვის არასრული სამუშაო დღის ან კვირის შემოღებამ, შინ დასაქმებამ და სამისოდ ყველა პირობების შექმნამ.

◆ როგორც უკვე ითქვა, შეიქმნება შრომითი მოწყობის ერთიანი სახელმწიფო სისტემა. რა ძირითადი ამოცანები უნდა გადაწყვიტოს მან?

ფართოვდება მოსახლეობის შრომითი მოწყობის ბიუროთა ქსელი. მალე ასეთი ბიუროები, ან მათი განყოფილებები ამოქმედდება ყველა ქალაქსა და რაიონში. წლეულს ავტონომიურ რესპუბლიკებში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, აგრეთვე დიდ ქალაქებში ჩამოყალიბდება შრომითი მოწყობის, გადამზადებისა და მოსახლეობის პროფესიული ორიენტაციის სამეურნეოანგარიშიანი ცენტრები და ბიუროები, უპირველეს ყოვლისა, მოვალენი არიან უზრუნველყონ შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმება, ამავე დროს მათ ეკისრებათ მოსახლეობის დასაქმებისა და მოძრაობის აღრიცხვა, მუშახელზე მოთხოვნილებისა და ამ მოთხოვნების დასაკმაყოფილებელი წყაროების შესახებ მონაცემთა ბანკის შექმნა. მოსახლეობისათვის ფართო და რეგულარული ინფორმაციის მიწოდება იმის თაობაზე, თუ რა პროფესიითა და სპეციალობით შეუძლიათ მუშაობა ან გადამზადება. ინფორმაციის მეშვეობით შესაძლებელი იქნება დაზუსტდეს, სად შეიძლება იმუშაონ პენსიონერებმა, ინვალიდებმა, ბავშვიანმა ქალებმა, მოსწავლე ახალგაზრდობამ. მომავალში შრომითი მოწყობის სამსახურები შრომითი რესურსების მართვასთან დაკავშირებულ სხვა ამოცანებსაც გადაწყვეტენ. შრომითი რესურსების გამოვლინების, პროგნოზირებისა და დაგეგმვის ამოცანების კომპლექსური გადაწყვეტისათვის ცენტრები უზრუნველყოფილი იქნებიან კომპიუტერებით და გამოთვლითი ტექნიკით.

◆ ჩვენი პარტიის სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია ხელფასის სრულყოფა. რას იტყვით ამის თაობაზე?

შრომის ანაზღაურების ახალი სისტემა, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილების საფუძველზე ინერგება, მეთორმეტე ხუთწლედში განსახორციელებელი უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური ღონისძიებაა. ეს ჩვენს რესპუბლიკაში დაახლოებით მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებულ 1.100 ათასი კაცის ინტერესებს შეეხება. ამასთან, შრომის ანაზღაურების ახალი სისტემა გამიზნულია შრომის ეფექტიანობის გაზრდისა და მისი ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ხელფასის რეფორმის რეალიზაცია უნდა გახდეს შრომის ნაყოფიერების ზრდის აუცილებელი ბერკეტი, რადგან სატარიფო განაკვეთების და სარგოების მომატების შესაძლებლობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სრულად გამოვიყენებთ შიდასაწარმოო რეზერვებს.

ამ მხრივ არა ერთი და ორი დადებითი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა. ახლებურად მომუშავე ზოგიერთ საწარმოში პერსონალის შემცირების პირობებში საგრძნობლად გაიზარდა როგორც წარმოების მოცულობა, ისე შრომის ნაყოფიერება და არსებითად იმატა ხელფასმაც. მაგალითად, თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატში შარშან შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპმა ორჯერ გადააჭარბა გეგმით გათვალისწინებულს. ასევე კარგი მაჩვენებლები აქვთ „განთიადის", „ორგტექნიკის", მეორეული შავი ლითონის საწარმოო გაერთიანებებს, თბილისის გაზის აპარატურის ქარხანას. არის ისეთი ორგანიზაციებიც, რომლებმაც ამ მხრივ ჯერ ცოტა რამ გააკეთეს. ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროში, მაგალითად, შრომის ანაზღაურების ახალ სისტემაზე მხოლოდ ორი საწარმო გადავიდა, სახაგრომრეწვის საბჭოთა მეურნეობებიდან — არც ერთი. რაც შეეხება მშენებლობას, აქ შრომის ანაზღაურების ახალ სისტემაზე გადასვლა უმეტეს შემთხვევაში განხორციელდა ფორმალურად, მექანიკურად, არ იყო განმტკიცებული ეს უმნიშვნელოვანესი ღონისძიება სათანადო ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებებით. ამან ეფექტის ნაცვლად ის მოჰყვა, რომ სამუშაო ხელფასის ზრდა უსწრებს შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპს, რაც ყოვლად დაუშვებელია.

◆ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმზე აღინიშნა, რომ ძირეულად უნდა გარდაიქმნას შრომის ორგანიზაცია, რა კეთდება ამ მხრივ?

სხვა ფაქტორებთან ერთად აუცილებელია, რომ ხელმძღვანელები გაძლიერებული პასუხისმგებლობით მიუდგნენ კოლექტიური იჯარის ეფექტიან და ფართო დანერგვას. სწორედ კოლექტიური იჯარა, ბრიგადული სამეურნეო ანგარიში, შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების სხვა ეფექტიანი ფორმების დანერგვა უწყობს ხელს სამეურნეო ანგარიშის პრინციპების სრულ რეალიზაციას. ჯერჯერობით, სამწუხაროდ, შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ეს ფორმები დამაკმაყოფილებლად არ გამოიყენება. მშენებლობაშიც კი, სადაც შრომის იჯარული ფორმა სხვა დარგებთან შედარებით მეტად არის გავრცელებული, ამ მეთოდით მუშაობს მშენებელთა 46 პროცენტი. რაც შეეხება მრეწველობას, აქ იჯარით მომუშავე ბრიგადებში გაერთიანებულია მომუშავეთა 7-8 პროცენტი.

შრომის სახელმწიფო კომიტეტი ახლა მუშაობს ისეთი სამეურნეოანგარიშიანი ორგანიზაციის შექმნაზე, რომელიც პირდაპირი ხელშეკრულების დადების საფუძველზე თვითონ ეკისრებს შრომის ორგანიზაციის მოწინავე გამოცდილების დანერგვასთან დაკავშირებულ ყველა სამუშაოს შესრულებას. ლაპარაკია სამუშაო ადგილების ატესტაციისა და რაციონალიზაციაზე, შრომის ანაზღაურების ახალ პირობებზე, სამეურნეოანგარიშიანი ბრიგადების, კოლექტიური იჯარის დანერგვაზე და სხვა.

გაძლიერდა შრომის კომიტეტის ორგანოების პასუხისმგებლობა კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებით. ცხადია, შრომის მართვის, მისი ანაზღაურების, სოციალური განვითარების ამოცანების გადაწყვეტა მოითხოვს ჩვენი კომიტეტის მეცნიერული უზრუნველყოფის ძირეულ გაუმჯობესებას. იზრდება ეკონომიკისა და შრომის სოციოლოგიის, სოციალური განვითარების, მოსახლეობისა და დემოგრაფიის პრობლემებთან დაკავშირებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების კოორდინაციის მნიშვნელობა. ამიტომ, იქმნება რესპუბლიკის შრომისა და სოციალური საკითხების სახელმწიფო კომიტეტისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გაერთიანებული სამეცნიერო საბჭო.

შრომის სახელმწიფო კომიტეტი ყველაფერს იღონებს დაკისრებული დიდი მოვალეობის უთუო შესრულებისათვის.

სურათზე: საქართველოს კოლმეურნეთა IV ყრილობის მონაწილეთა ერთი ჯგუფი შესვენებისას — ცხაკაიას რაიონის სოფელ ფოცხოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობის ეკონომისტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ე. ყურაშვილი, წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ა. კობაიძე, მახარაძის რაიონის სოფელ აცანის ბ. ძნელაძის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე ქ. ჯაველიძე, კასპის რაიონის სოფელ ქვემო ჭალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. ბუდაღაშვილი და ოჩამჩირის რაიონის სოფელ ბესლახუბის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი ა. კოუბა.

ვ. ბენზიურის ფოტო.

საქართველოს კოლმეურნეთა ყრილობა

23 იანვარს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს კოლმეურნეთა IV ყრილობა. აქ შეიკრიბნენ რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოწინავენი, ადამიანები, რომლებსაც თვიანთი კონკრეტული წვლილი შეაქვთ სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში, შრომის ვეტერანები, პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკები და მეცნიერები.

ყრილობის პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები **ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. ი. ალავიძე, პ. გ. გილაშვილი, ო. გ. ვარძელაშვილი, გ. დ. მგელაძე, ბ. ვ. ნიკოლსკი, ნ. ა. ჩიტანავა, გ. გ. გუმბარიძე, ნ. რ. საჯაია.**

ყრილობა გახსნა კოლმეურნეობათა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ **გ. ა. წითლიძემ.**

ყრილობამ განიხილა საკითხები:

მეურნეობრიობისა და მმართველობის დემოკრატიზაციის ახალ პირობებში კოლმეურნეობათა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების შესახებ;

კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების პროექტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ;

კოლმეურნეთა IV საკავშირო ყრილობის დელეგატთა არჩევნებისა და საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა რესპუბლიკური საბჭოს ახალი შემადგენლობის შესახებ.

დღის წესრიგის პირველი ორი საკითხის გამო მოხსენებანი გააკეთეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, რესპუბლიკის სახაგრომრეწვის თავმჯდომარემ **გ. დ. მგელაძემ** და კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების პროექტის ცვლილებათა და დამატებათა შემმუშავებელი კომისიის თავმჯდომარემ **გ. ა. წითლიძემ.**

კამათში მონაწილეობდნენ ჩოხატაურის რაიონის სოფელ ვანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი **ი. კ. თავაძე**, აჭარის ასსრ სახაგრომრეწვის თავმჯდომარე **ხ. დ. ინაიშვილი**, ახალქალაქის რაიონის სოფელ კორხის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი **მ. ხ. ეპრიკიანი**, გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნის XXIV პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **შ. კ. აიბა**, წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი **ნ. ს. ყურაშვილი**, საქართველოს კომპარტიის აბაშის რაიკომის პირველი მდივანი **გ. ი. გუნავა**, გურჯაანის რაიონის მშენებლობის სამეურნეობათშორისო საბჭოს თავმჯდომარე **გ. გ. სამნიაშვილი**, ბოგდანოვკის რაიონის სოფელ გორელოვკის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ა. ხ. მარკინი**, დუშეთის რაიონის სოფელ მლეთის კოლმეურნეობის მწყემსი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **ვ. ი. ბურდული**, წალენჯიხის რაიონის სოფელ ნაკიფუს კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ვ. დ. კვარაცხელია**, ზესტაფონის რაიონის სოფელ მეორე სვირის კოლმეურნეობის მევენახე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **პ. ხ. ბარათელი**, ზნაურის რაიონის სოფელ მუგუთის კოლმეურნეობის მექანიზატორი **გ. ა. კაბულოვი**, გორის რაიონის სოფელ ხელთუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ტ. გ. ხარიაური**, ლაგოდეხის რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე **ა. ვ. ბახტაძე**, სიღნაღის რაიონის სოფელ მაღაროს კოლმეურნეობის საიჯარო ბრიგადის ხელმძღვანელი **ა. ვ. ყანდაშვილი**, თბილისის ფოლადთუჯსასხმელი ქარხნის მეკოპეთა ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი **გ. ნ. კურტანიძე**, საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის რექტორი **გ. დ. აგლაძე**, მწერალი **რ. ა. ჯაფარიძე.**

ყრილობაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ჯ. ი. პატიაშვილმა.**

განხილულ საკითხებზე მიღებულია შესაბამისი დადგენილებები.

ყრილობამ აირჩია კოლმეურნეთა IV საკავშირო ყრილობის დელეგატები და საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა რესპუბლიკური საბჭოს ახალი შემადგენლობა.

(საქინფორმი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 82 წლის ასაკში გარდაიცვალა საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, საქართველოს სსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სახელმწიფო საპროექტო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის „საქყოფპროექტის" დირექტორი

ოთარ მიხეილის ძე ივანაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კამათი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მიერ გარდაქმნის ხელმძღვანელობისათვის გაწეული მუშაობის ანგარიშის გამო

ა. გ. კარანაძე

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე

დღითი დღე სულ უფრო თვალსაჩინო და საგრძნობი ხდება გარდაქმნის პროცესის მადლიანი გავლენა ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარეზე. ჭეშმარიტად რევოლუციურია მისი სასიკეთო ზემოქმედება სახელმწიფოსა და საზოგადოების დემოკრატიზაციის პროცესზე, სოციალისტური კანონიერების, უწინარესად, საბჭოთა მოქალაქეების უფლებებისა და ინტერესების ყოველმხრივ უზრუნველყოფაზე, მათი პოლიტიკური, მოქალაქეობრივი და შრომითი აქტიურობის გაძლიერებაზე. ეს არის გარდაქმნის უმნიშვნელოვანესი მიმართულება, მისი წარმატების თავიდათავი.

ვ. ი. ლენინის შემდეგ სახელმწიფოს, პარტიისა და ხალხის ხელმძღვანელობას სათავეში კვლავ ჩაუდგა განათლებით იურისტი, ადამიანი, რომელიც ღრმად და ზედმიწევნით ფლობს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივ პრობლემებს. სრულიად ბუნებრივად გვესახება, რომ სამართალდამცველი ორგანოების მუშაკებს ეს მნიშვნელოვანი გარემოება განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს.

შემთხვევითი როდია, რომ გარდაქმნა მკაფიოდ გამოვლინდა უწინარეს ყოვლისა პარტიული ხელმძღვანელობის რევოლუციურად ნოვატორული და ამასთან ერთად ყოველმხრივ აწონ-დაწონილი მეთოდების დამკვიდრებით, რამაც მკაფიოდ წარმოაჩინა სახელმწიფოს სამართლებრივი საფუძვლები და სტრუქტურის, მთელი მისი სამართალდაცვითი საქმიანობის განმტკიცების კარდინალური საკითხები.

ამ თვალსაზრისით გარდაქმნამ თვისებრივად ახალ საფეხურზე, განუზომლად უფრო მაღალ პოლიტიკურ რეგისტრზე გადაიყვანა კანონიერების პრინციპი, გამოაცხადა იგი თავის უმნიშვნელოვანეს საყრდენ წერტილად, განსაზღვრა მართლმსაჯულების საგანგებო როლი და მნიშვნელობა ჩვენი საზოგადოების ძირითადი ზნეობრივი პრინციპის — სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებაში. ამის ნათელი დადასტურებაა მ. ს. გორბაჩოვის განცხადება მომავალი სამართლო-სამართლებრივი რეფორმის, როგორც XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის ერთ-ერთი ცენტრალური საკითხის შესახებ.

ამას მოწმობს აგრეთვე ახლახან ძალაში შესული კანონი თანამდებობის პირთა არამართლზომიერი მოქმედების გასაჩივრების შესახებ, — გარდაქმნის ეს უშუალო გამოძახილი. კანონი, რომელიც მშრომელთათვის უდავოდ დიდი სიკეთეა და რომელიც ბიუროკრატიზმის, ჩინოვნიკური თვითნებობის, უბრალო ადამიანთა ინტერესების უგულვებელყოფის წინააღმდეგ ბრძოლის საიმედო იარაღი გახდება. ეს კანონი სასამართლოს ანიჭებს ახალ, სრულიად საგანგებო და განსაკუთრებულ როლს სახელმწიფო მექანიზმში, ამიტომ ყოველმა ჩვენგანმა, უწინარესად თანამდებობის პირებმა კარგად უნდა შევითვისოთ და ღრმად გავიაზროთ იგი, შინაგანად, ფსიქოლოგიურად გარდავიქმნათ, გარდავქმნათ ჩვენი საქმიანობა, განსაკუთრებით მისი სამართლებრივი ასპექტები, რათა ეს ახალი კანონიც და, მაშასადამე, ყველა სხვა კანონი განუხრელად და ზუსტად სრულდებოდეს.

გარდაქმნის ეპიცენტრში ადამიანია. და, რა თქმა უნდა, თითოეული ჩვენგანის აზრისა თუ საქმიანობის უპირველესი საზრუნავია ადამიანი, აგრეთვე გზასაცდენილიც. მართლმსაჯულების მსახურთათვის კი სწორედ ასეთი საგანგებოდ საფიქრალია.

გარდაქმნამ ახლებურად, უფრო პარტიულად, უფრო მტკიცედ გამოკვეთა სოციალური პასუხისმგებლობის, დისციპლინის პრობლემა. მართლმსაჯულებასთან მიმართებაში ეს ნიშნავს უფრო გონივრულ, ყოველმხრივ აწონდაწონილ დამოკიდებულებას ადამიანის თავისუფლების უზრუნველყოფის, შეზღუდვისა თუ აღკვეთისადმი. თავისუფლება ადამიანის სიცოცხლის აზრი და დედაარსია, წმიდათაწმიდა, სწორედ ამიტომ მას მოწიწებით პატივს სცემს და იცავს კანონი.

მაგრამ, ჩვენდა სავალალოდ, ერთობ გამჯდარია შეგნებაში ის აზრი, რომ რაც უფრო მკაცრია სასჯელი, მით უფრო ეფექტიანია მართლმსაჯულება, ასეთი მიდგომა აბსურდულია, რადგან სასჯელის მეტისმეტი სიმკაცრე თვით სასჯელს პრაქტიკულად უშედეგოს ხდის. და ეს რესპუბლიკის ყველა სამართალდამცველი ორგანოს ხელმძღვანელთა ერთსულოვანი აზრია. უფრო მეტიც, ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ ბრალეულის საზოგადოებისაგან მოწყვეტის გარეშე გამოსწორების ოდნავი შესაძლებლობაც თუ არსებობს, ეს შესაძლებლობა სრულად უნდა გამოვიყენოთ.

სწორედ ამას მოითხოვს ჩვენგან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო, ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი. სწორედ ამ პოზიციით აიხსნება ის ფაქტი, რომ უკანასკნელ ხანს რესპუბლიკაში თავისუფლების აღკვეთის ხვედრითი წილი 20 პროცენტით შემცირდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყოველი მეხუთე კაცი, რომელსაც წინათ თავისუფლება აღეკვეთებოდა, ახლა სასჯელის ისეთი სახით ისჯება, რომელიც საზოგადოებისაგან იზოლაციასთან არ არის დაკავშირებული.

საზოგადოებას ყოველთვის აფიქრებს თავისუფლების აღკვეთის პრობლემა. და ასეთმა „არითმეტიკამ" არ შეიძლება გულგრილი დაგვტოვოს. განა ვინმეს მოუბრუნდება ენა თქვას, ყოველივე ზემოაღნიშნული უმნიშვნელოაო. რა თქმა უნდა, არა.

თავისუფლების აღკვეთის ხვედრითი წილის შემცირება თავისთავად ძალზე საგულისხმო მოვლენაა. მაგრამ ნუ ვიფიქრებთ, რომ ამის წყალობით ყველაზე ჰუმანურთა რიცხვში მოხვდით ან სასამართლო ლიბერალიზმის დამღუპველი შედეგების საფრთხის წინაშე აღმოვჩნდით.

არა, საქმე სულ არ არის ასე და ჩვენ დღესაც განვეკუთვნებით მკაცრი დასჯითი პრაქტიკის რესპუბლიკებს, მეოთხე ადგილი გვიკავია ყირგიზეთის, თურქმენეთისა და ყაზახეთის შემდეგ.

მაგრამ ჩვენს რესპუბლიკაში დანაშაულთა სტრუქტურაში მძიმე დანაშაულობათა წილი ბევრად ნაკლებია აღნიშნულ რესპუბლიკებთან შედარებით. და ამ მაჩვენებლის მიხედვით მე-8-9 ადგილზე ვართ სხვა მოკავშირე რესპუბლიკებს შორის. ამ სტატისტიკის გათვალისწინებით ჩვენი სამოსამართლო სიმკაცრე თანმიმდევრულად ლოგიკურად როდი გამოიყურება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თავისუფლების აღკვეთის ხვედრითი წილი საქართველოში შეიძლებოდა ბევრად მცირე ყოფილიყო და ოპერატიული ვითარებისათვის ყოველგვარი ზიანის მიუყენებლად შეიძლებოდა განგვეხორციელებინა უფრო გონიერი დასჯითი პრაქტიკა. რა თქმა უნდა, ჩვენ სულაც არ ვგულისხმობთ რაიმე შეღავათებს მძიმე დანაშაულის ჩამდენთათვის. მათ მიმართ საბჭოთა კანონი არასდროს შერიგებია არავითარ შეღავათს, და რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს მკაცრი სასამართლო პრაქტიკა ამის ნათელი დადასტურებაა.

საქმე ეხება იმათ, ვინც პირველად ჩაიდინა დანაშაული, რომელიც არ წარმოადგენს დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას, იმათ, ვის მიმართაც კანონმა გაითვალისწინა სასჯელის ისეთი სახეების დანიშვნის შესაძლებლობა, რომელიც არ არის დაკავშირებული საზოგადოებისაგან იზოლაციასთან. მაგრამ სწორედ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლების შეფარდების მხრივ ვერა გვაქვს საქმე სახარბიელოდ. ზოგიერთი ნორმა, რომელიც სასამართლოს საშუალებას აძლევს კანონიერად შეამსუბუქოს სისხლის სამართლის სასჯელი, ჩვენთან საერთოდ პრაქტიკულად არ გამოიყენება.

ჩვენ ერთ-ერთ ბოლო ადგილზე ვართ, მაგალითად, განაჩენის აღსრულების გადადების გამოყენების მხრივ. გაცილებით უფრო ფართოდ შეიძლებოდა გამოგვეყენებინა გამასწორებელი სამუშაოები და ჯარიმა. ჩვენში საერთოდ არ არის დანერგილი პრაქტიკაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შეცვლა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობით, აგრეთვე სასამართლო საქმეების გადაცემა ამხანაგური სასამართლოების განსახილველად. და ბოლოს, რაც განსაკუთრებით შეუწყნარებელია გარდაქმნის, დემოკრატიისა და საჯაროობის პერიოდში, ჩვენ ბოლო ადგილზე ვართ ქვეყანაში იმ პირთა რიცხვის მიხედვით, რომლებსაც სასამართლოები თავდებქვეშ გადასცემენ შრომით კოლექტივებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებით. დამეთანხმებით, რომ ეს უკვე აშკარად მოწმობს საზოგადოებრიობის, იმ მძლავრი და ნაყოფიერი ძალის როლისა და შესაძლებლობების შეუფასებლობას, რომელსაც ჩვენ უნდა ვეყრდნობოდეთ.

რა გვიშლის ხელს უწინარესად, უფრო თავშეკავებული და გონივრული დასჯითი პოლიტიკის განხორციელებაში? რესპუბლიკის სამართალდამცველი ორგანოების ხელმძღვანელთა აზრით, ამას აბრკოლებს:

ჯერ ერთი, ფეხმოკიდებული განწყობილება ადგილებზე, იმ რეგიონებში, სადაც თავისუფლების აღკვეთა სასჯელის ყველაზე ქმედით ღონისძიებად მიაჩნიათ;

მეორე, ცალკეულ ჩინოვნიკთა თავის დაზღვევის ბიუროკრატიული პოზიცია, როდესაც თავისუფლების აღკვეთის დაბალ პროცენტს ხელაღებით და უსაფუძვლოდ ამა თუ იმ მოსამართლის მიერ მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ლამის უცილობელ მტკიცებად აცხადებენ.

ცხადია, ასეთი ბიუროკრატიული წნეხი იწვევს არა მარტო მოსამართლეთა საქმიანობის დეფორმირებას, მას ზედმეტი ტანჯვა მოაქვს განსასჯელის სკამზე მოხვედრილი ადამიანისათვის.

რესპუბლიკის ერთ-ერთი უდიდესი ქარხნის მუშას მიუსაჯეს ორი წლის თავისუფლების აღკვეთა ბანქოს თამაშისათვის, მიუხედავად იმისა, რომ მამით ობოლ ამ ჭაბუკს სარჩენი ჰყავდა დედა — I ჯგუფის ინვალიდი — და მცირეწლოვანი და-ძმა. მეორე რაიონში 4 წლით თავისუფლება აღუკვეთეს მუშას, რომელმაც სხვისი ოთახიდან მოიპარა 6 მანეთი ღირებულების ნახმარი ფეხსაცმელი და 2 ძველი პირსახოცი, რომლებიც 40-40 კაპიკად შეფასდა.

ეს სასჯელი გამოუტანეს პირებს, რომლებმაც პირველად ჩაიდინეს დანაშაული და რომლებსაც სამუშაო ადგილზე დადებითად ახასიათებდნენ, შრომითი კოლექტივები ითხოვდნენ მათთვის გადაეცათ ისინი გამოსასწორებლად. სავსებით გასაგებია, რომ რესპუბლიკის უმაღლესმა სასამართლომ მათ სასჯელი შეუცვალა ღონისძიებებით, რომლებიც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან.

გარდაქმნაც არის და გარდაქმნაც. გარდაქმნა სხვადასხვაგვარად შეიძლება. და თუ ჩვენ არ განვახორციელებთ ჩვენი საქმიანობის უმთავრეს გარდაქმნას, — თუ არ გადავალთ უკვე ჩადენილ დანაშაულზე იძულებითი რეაგირებიდან მის თავიდან აცილებაზე, მაშინ შრომა მნიშვნელოვანწილად წყალში ჩაგვეყრება.

ეს პრინციპული, პოლიტიკური საკითხია, განსაკუთრებით ახლა, როდესაც სიღრმული, ბაზისური ცვლილებები მიმდინარეობს ჩვენს საზოგადოებაში, როდესაც სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში მშრომელი რეალურად დგება წარმოების ინტერესების სადარაჯოზე, მისი გარჯით შექმნილი დოვლათის დაცვა-შენახვის სადარაჯოზე, როდესაც დისციპლინას, სახელმწიფო, საზოგადოებრივი, თუ შრომის დისციპლინა საგანგებო სოციალურ მნიშვნელობას იძენს.

და აქ თავიანთი გადამწყვეტი სიტყვა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა, საზოგადოებრივმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა უნდა თქვან. ისე უნდა მოეწყოს საქმე, რომ ადამიანებს არ გაუჩნდეთ ცდუნება — დაარღვიონ კანონი, რომ ცხოვრების გარემოებებმა და უყურადღებობამ არ ამოაყოფინოს მათ თავი განსასჯელის სკამზე.

ცენტრალური კომიტეტის დღევანდელი პლენუმი უჩვეულოა თავისი ფორმითაც და შინაარსითაც. მასში ნათლად აირეკლა გარდაქმნის სულისკვეთება.

მის შინაარსს განსაზღვრავს კრიტიკული პარტიული განწყობილება, დიდი მომთხოვნელობისა და პრინციპულობის ატმოსფერო, რაც საიმედოდ დაგვიცავს თავდაჯერებისა და გულარხეინობისაგან.

მისი ფორმა — ბიუროს წევრთა საქმიანი პირადი საუბრები ცენტრალური კომიტეტის მთელ შემადგენლობასთან — მარჯვედ მიგნებული, შინაარსიანი და ტევადი ფორმაა, რომელიც ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს პარტიული მუშაობის სრულყოფისა და ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური გავლენის გაძლიერების საშუალებათა არსენალში.

ამ საუბრების დროს ჩვენ გამოვთქვით მთელი რიგი საქმიანი კრიტიკული შენიშვნები. ამასთანავე ცენტრალური კომიტეტის წევრთა ერთსულოვანი აზრით ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, მის ხელმძღვანელობას ახასიათებს ჭეშმარიტი პარტიული თვითკრიტიკულობა, მომთხოვნელობა, მიღწეულით დაუკმაყოფილებლობის გრძნობა. ასეთი სტილი არ შეიძლება არ იწვევდეს მოწონებასა და სიმპათიას. იგი რაზმავს აქტივს, რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციას, ქმნის კეთილმყოფელ პოლიტიკურ, საზოგადოებრივ-შრომით ვითარებას, რომელიც ხელს უწყობს პარტიის გეგმების, სკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებების წარმატებით განხორციელებას.

გ. ე. ჩიგოგიძე

აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დღევანდელ პლენუმს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენს ავტონომიურ რესპუბლიკაში გარდაქმნის პროცესის შემდგომი განვითარებისა და გაღრმავებისათვის.

ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ანგარიშში ღრმად არის გაანალიზებული რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის საქმიანობა გარდაქმნის ხელმძღვანელობისათვის, ყურადღება გამახვილებულია ამ მიმართულებით არსებულ ნაკლოვანებებსა და გადაუჭრელ პრობლემებზე.

სავსებით სამართლიანად მიგვაჩნია კრიტიკა, რომელიც გამოითქვა ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების, ცალკეული საწარმოებისა და ორგანიზაციების მისამართით, და აქედან სათანადო დასკვნებს გამოვიტანთ.

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ უკანასკნელ ხანს მიღებულმა ცნობილმა დადგენილებებმა მნიშვნელოვნად გააფართოვა ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების უფლება-მოვალეობანი აქტუალური ეკონომიკური პრობლემების გადაჭრაში, დასახა ინიციატივიანი და შემოქმედებითი მუშაობის ფართო ასპარეზი, რაც არ შეიძლება არ დასტყობოდა მათი საქმიანობის გააქტიურებას.

მაგრამ, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ყველა საბჭოთა მუშაკს, მათ შორის ხელმძღვანელსაც, ბოლომდე როდი აქვს შეგნებული გარდაქმნის საჭიროება, მათ არ შეუძლიათ იაზროვნონ ახლებურად, რაც სერიოზულ ჩავარდნებს იწვევს ჩვენი მუშაობის ცალკეულ უბნებზე და რგოლებში. მეტი სიმტკიცე და პრინციპულობა უნდა გამოვიჩინოთ ასეთი გამოვლინებების მიმართ.

მაგრამ გარდაქმნის დროს ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებული ნაკლოვანებები და ხარვეზები, ჩავარდნა ცალკეული ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით, რა თქმა უნდა, არ შეიძლება ამოვწუროთ მუშაკების უპასუხისმგებლობითა და იმით, რომ მათ არ შეუძლიათ იშრომონ ახლებურად. გარდაქმნა ძნელი და რთული რევოლუციური პროცესია, მას ახასიათებს მასების მაღალი პოლიტიკური და შრომითი აქტიურობა. მაგრამ ამავე დროს იზრდება შეფასებათა კრიტერიუმიც მთელ ჩვენს საქმიანობაში. ანგარიში უნდა გავუწიოთ იმ ობიექტურ სიძნელეებსაც, რომლებსაც ვაწყდებით ეკონომიკის ცალკეულ დარგებსა და საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროში.

თუ ვიმსჯელებთ საერთოდ ჩვენი ეკონომიკის მდგომარეობაზე, შეიძლება ითქვას, რომ მრეწველობაში ორი წლის შედეგებით გადაჭარბებულია წარმოების მოცულობის ზრდის დაგეგმილი ტემპი, სრულდება ხარისხობრივ მაჩვენებელთა უმრავლესობა. სოფლის მეურნეობაში გადაჭარბებით შესრულდა თითქმის ყველა საგეგმო დავალება, იგივე შეიძლება ითქვას ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაზე. მნიშვნელოვნად გაიზარდა საქონელბრუნვისა და ფასიანი მომსახურების მოცულობა და ა. შ.

მაგრამ, თუ გარდაქმნის პოზიციებიდან მივუდგებით, ამ ერთი შეხედვით, არცთუ ცუდი მაჩვენებლებიდან არ შეიძლება გამოვიტანოთ შორს გამიზნული დასკვნები. სამწუხაროდ, ჩვენ ცუდად ვიყენებთ არსებულ რეზერვებს, რომლებიც ძალზე ბევრია სახალხო მეურნეობის ყოველ დარგში, ყოველ საწარმოსა და ორგანიზაციაში.

მაგალითად, სამრეწველო წარმოების მოცულობის ზრდის ტემპი ბევრად უფრო სწრაფი იქნებოდა, სერიოზული ჩავარდნები რომ არ იყოს საკავშირო დაქვემდებარების მთელ რიგ საწარმოებში, რომლებმაც შარშან საერთო ანგარიშით დაახლოებით 19 მილიონი მანეთის პროდუქცია დაგვაკლეს. იგივე შეიძლება ითქვას სხვა მაჩვენებლებზეც.

ავტონომიურ რესპუბლიკაში სისტემატურად გადაჭარბებით სრულდება სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების ყველა საგეგმო დავალება, როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი დავალებები. მაგრამ ამის შედეგად, ზოგადად თუ ვიტყვით, ჩვენი საქონელი არ გამხდარა უფრო პრესტიჟული და კონკურენტუნარიანი, არ გაზრდილა მასზე მომხმარებლის მოთხოვნა.

მნიშვნელოვანწილად ამით აიხსნება საქონელბრუნვის გეგმისა და საკასო გეგმის დიდი სხვაობა, რაც ფულის სულ უფრო მზარდ ზეგეგმით ემისიას იწვევს. შარშან იგი დაახლოებით 80 მილიონ მანეთს შეადგენდა. და ამ დროს ჩვენი საკავშირო დაქვემდებარების დიდი საწარმოები კვლავ ძალზე მცირე მოცულობითა და საგეგმო უპრესტიჟო სახალხო მოხმარების საქონელს უშვებენ. უფრო მეტიც, ნავთობგადამმუშავებელ, გემთსაშენებელ, ტრანსფორმატორების, ელექტრომექანიკურ ქარხნებში ასეთი პროდუქციის გამოშვება ხელფასის ფონდის 1 მანეთზე 7 კაპიკს არ აღემატება.

ავტონომიური რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოები ახორციელებენ ღონისძიებებს ამ მიმართულებით საქმის ვითარების გასაუმჯობესებლად, მაგრამ ჩვენ ყოველთვის როდი ვგრძნობთ სათანადო მხარდაჭერასა და პრაქტიკულ დახმარებას შესაბამისი საკავშირო სამინისტროების მხრივ. მათ ხელში ხომ თავმოყრილია მართვის ისეთი მნიშვნელოვანი ბერკეტები, როგორიც არის დაგეგმვა, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, დარგში მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკის განხორციელება. ამასთან დაკავშირებით, ალბათ, უნდა ვიფიქროთ იმაზეც, რომ ადგილობრივ საბჭოებს მივანიჭოთ ეკონომიკური სანქციების შემოღების უფლება იმ საწარმოთა მიმართ, რომლებიც ვერ ასრულებენ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესების შესახებ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებს.

ძალზე ნელა წყდება ნავთობქიმიური მრეწველობის სამინისტროს, გემთსაშენებელი მრეწველობის სამინისტროს, ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს ქვესაუწყებო საწარმოთა მომწიფებული საკითხები. განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა შეიქმნა ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს ბათუმის ორ საწარმოში — ელექტრომექანიკურ და ტრანსფორმატორების ქარხნებში, რომლებიც „ელმავალმშენებლის" საწარმოო გაერთიანებაში შედიან, სამინისტრო უშუალოდ უკვე აღარ ჰკიდებს ხელს ქარხნების საქმეებს, „ელმავალმშენებლის" გაერთიანებას კი თავისი საზრუნავიც საკმარისად აქვს და მას სულაც არ აწუხებს ამ საწარმოთა ბედი. ამიტომ აქ საქმეები ყოველწლიურად უარესდება.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი ზრდისათვის ბევრი რეზერვი გვაქვს. ეს არის საზოგადოებრივი და კერძო სექტორებს შორის მოსავლიანობის დისპროპორციის აღმოფხვრა, საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდა და ა. შ. ამავე დროს, ავტონომიური რესპუბლიკის სახაგრომრეწვი ჯერ კიდევ სათანადოდ არ წყვეტს სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი ინტენსიფიკაციის პრობლემას, საკმარისად არ ხელმძღვანელობს გადამმუშავებელ მრეწველობას, სადაც განსაკუთრებით ბევრია გამოუყენებელი შესაძლებლობები. ეს ხდება იმიტომ, რომ აჭარის ასსრ სახაგრომრეწვის აპარატის 245 მუშაკიდან მხოლოდ 3 არის მრეწველობის სპეციალისტი, თანაც არც ერთ მათგანს არ უკავია ხელმძღვანელი თანამდებობა. ასეთი სტრუქტურისა და საქმის ვითარების დროს სახაგრომრეწვის სისტემა უკვე აღარ შეესაბამება თავის დასახელებას. პირველად როდი ისმება სახაგრომრეწვის აპარატის სტრუქტურის სრულყოფის საკითხი, მაგრამ იგი არ წყდება.

მიმდინარე სამეურნეო წელი ჩვენთვის განსაკუთრებულია, ძალაში შევიდა კანონი სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ. საწარმოთა და ორგანიზაციათა დიდმა ჯგუფმა დაიწყო თვითდაფინანსებისა და სრული სამეურნეო ანგარიშის პირობებში მუშაობა, ამას წინ უძღოდა მნიშვნელოვანი მოსამზადებელი მუშაობა. განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად საწარმოთა დიდმა ნაწილმა თავი დააღწია მძიმე ფინანსურ მდგომარეობას. მაგრამ მთავარი წინ არის. იმაზე, თუ როგორ ვიმუშავებთ წლეულს, გადამწყვეტწილად არის დამოკიდებული ეკონომიკაში გარდაქმნის ბედი და მთელი გარდაქმნის ბედიც.

ფ. ვ. ჯიოევი

საქართველოს კომპარტიის ცხინვალის რაიკომის პირველი მდივანი

მინდა შევეხო იმას, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების წინაშე დასმული ზოგიერთი საკითხი, თავისი სიმწვავითა და განსაკუთრებული მნიშვნელობით, როგორც ჩვენ მიგვაჩნია, უფრო ენერგიული, გადაუდებელი, განსაკუთრებული ღონისძიებების განხორციელებას საჭიროებს, და იქნებ რაიმე სხვა საქმეების საზიანოდაც კი.

მაგრამ, ეს პრინციპული საკითხები ზოგჯერ ჩვეულებრივი ორდინალური წესით განიხილება. მაგალითად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმის მიერ მიღებულ დიდი მასშტაბის ღონისძიებებს საკვებწარმოების შემდგომი ინტენსიფიკაციისათვის ჯერ კიდევ არ შესხმია ხორცი პრაქტიკულად. ამ ღონისძიებათა განსახორციელებლად ფინანსური სახსრების უქონლობამ, საშუალება არ მოგვცა აგვემოქმედებინა ამ დარგისათვის ისეთი განმსაზღვრელი ობიექტები, როგორიც არის თივისა და მარცვალფურაჟის საცავები და ძირხვენსაცავები. ცენტრალური კომიტეტის შესაბამისი განყოფილებები არ აკონტროლებენ დადგენილების შესრულებას. თუ მტკიცე მხარდაჭერა არ გვექნა, ამ საკითხებს ვერ გადავწყვეტთ. მათი გადაწყვეტით კი მოისპობოდა ის ბზარი, რომელიც ჯერჯერობით არის სიტყვასა და საქმეს შორის.

ქ. ნ. ჩარკვიანი

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, მართვისა და დაგეგმვის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი

ამხანაგ ჯაფარლის საინტერესო გამოსვლაში მე შევამჩნიე, რომ მას მაინცდამაინც არ მოსწონს დაპროგრამებული გამოსვლები. ამ აზრს, რა თქმა უნდა, მეც ვიზიარებ. მაგრამ მაინც მინდა ჩემი გამოსვლა ერთგვარი შესავლით დავიწყო.

ცენტრალური კომიტეტის ახლანდელი პლენუმის განმასხვავებელი ნიშანია მომიჯნავე მიდგომა ჩვენს რესპუბლიკაში და საქართველოს პარტიულ ორგანიზაციაში გარდაქმნის მიმდინარეობის შეფასებისადმი. მიღწეულია გარკვეული წარმატებანი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის მუშაობაში, საზოგადოებრივი ცხოვრების გაჯანსაღებაში. მაგრამ პარტიის მიერ დასახული გარდაქმნის ამოცანების განხორციელება ჯერ კიდევ წინ გვიძევს.

ახლა რამდენიმე სიტყვას მოგახსენებთ ჩემს წიგნზე, რომელიც აქ ახსენეს. ამხ. ჩერქეზიშვილს, რა თქმა უნდა, მოეხსენება, რომ წიგნის, მით უმეტეს, ყოფილი ხელმძღვანელი მუშაკის მემუარების გამოსვლა არ ხდება თავისთავად, თუ არ გაიარე გარკვეული ფორმალობანი. ასე რომ, ამ წიგნის გამოცემა ცენტრალური კომიტეტისა და ჩვენი შესაბამისი იდეოლოგიური ორგანოების დაუკითხავად შეუძლებელი იქნებოდა. აი, როგორ იყო საქმე.

შ. გ. ნიშნიანიძე

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი

ჩემს თავს მოვალედ ვთვლი ერთი პატარა განცხადება გავაკეთო. აქ საინტერესო სიტყვით გამოვიდა მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ჯ. ა. ჩარკვიანი. საინტერესო იყო მისი სიტყვის ის ნაწილი, როცა იგი საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხებს ეხებოდა. ისიც სწორი თქვა, რომ შვიდი-რვა მდივანი მწერალთა კავშირისათვის, მართლაც, ზედმეტია.

მაგრამ მინდა შევეხო ჯ. ა. ჩარკვიანის სიტყვის იმ ნაწილს, ამას მე დიდი გულისტკივილით ვამბობ, სადაც მან ილაპარაკა მწერალთა კავშირის და მწერალთა შორის ვიღაც უნიჭოებზე, ნაძირალებზე და „სატანის მსახურებზე". მან თხოვნით მიმართა ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, ხელი შეუწყოს მათ გაძევებას კავშირიდან. ეს მეტისმეტად სერიოზული განცხადებაა. უნიჭოები, მართლაც, ბევრი გვყავს. და თანაც სხვადასხვა ჯურის უნიჭოები. მაგრამ გარწმუნებთ, რომ არავითარი ნაძირალები ქართულ მწერლობას არა ჰყავს.

დიახ, უნიჭოებთან ერთად ბევრი გვყავს მოძულე, ერთმანეთის მოძულე ხალხი, რომლებიც, ჩვენდა სამარცხვინოდ, ერთმანეთს უღირსი ეპითეტებით ამკობენ. ჯ. ა. ჩარკვიანის გამოსვლაც, პირდაპირ უნდა ითქვას, ასეთი პრაქტიკის მორიგი დემონსტრირება იყო, რომელსაც ყველა უნდა მოვერიდოთ. დროა თავი გავანებოთ კინკლაობას და პირად ანგარიშსწორებას. ამას მოითხოვს კომუნისტისა და საზოგადო მოღვაწის სახელი.

დ. გ. ფილია

პარტიის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი

მიღებულია ცენტრალური კომიტეტისა და მთელი რიგი იმ საკავშირო სამინისტროების ერთობლივი გადაწყვეტილებები, რომელთა საწარმოები ჩვენს ქალაქშია. საერთოდ, ეს გადაწყვეტილებები სრულდება. მაგრამ მთელი რიგი საარსებო მნიშვნელობის ობიექტები, განსაკუთრებით სოციალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები ვერ მოხვდა ვერც მეთერთმეტე ხუთწლედის, ვერც მიმდინარე ხუთწლედის გეგმაში. ყოველივე ამას ნიადაგ შევახსენებ ხოლმე სამინისტროებსა და უწყებებს, წამოვჭერით ეს საკითხები პარტიულ პლენუმებზე, სხვადასხვა რანგის ხელმძღვანელებთან პირად შეხვედრებზე, მაგრამ ეს საკითხები ჯერჯერობით დადებითად არ გადაწყვეტილა. უარს ასაბუთებენ სახსრების, შესაძლებლობების უქონლობით.

ჩვენ ასე გვესმის, თუ მიღებულია გადაწყვეტილება და მას ხელს აწერს სსრ კავშირის მინისტრი, ალბათ, იგი უნდა მოუფრთხილდეს თავის ავტორიტეტს.

ცენტრალურმა კომიტეტმა მკაცრად უნდა გააკონტროლოს თავისი გადაწყვეტილებები. ყოველი შეუსრულებელი დადგენილება ხომ ლახავს იმ ორგანოს ავტორიტეტს, რომელმაც იგი მიიღო. ჩვენი აზრით, ამ საქმეში ძალზე დიდია ცენტრალური კომიტეტის კურატორი მდივნების როლი.

ჩვენი ქალაქის მცხოვრებლები უდიდეს მადლობას უხდიან ცენტრალურ კომიტეტს, ჯ. ი. პატიაშვილს, ბ. ვ. ნიკოლსკის ჩვენი სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის გაზის სათბობზე გადაყვანის საკითხის გადაწყვეტისათვის და ამას აღიქვამენ ადამიანების ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის მდგომარეობისათვის პარტიული ზრუნვის მაგალითად.

მაგრამ არის სხვაგვარი ფაქტებიც. პლენუმის მონაწილეებმა იციან, რომ ჩვენს ქალაქში უკვე რამდენიმე წელია შენდება ჰიგრობამბის ფაბრიკა. გვარწმუნებენ, იგი ძალზე სჭირდება სახალხო მეურნეობას და უმისობა არ იქნებაო. მაგრამ ადამიანებს ებადებათ ეჭვი. ეს ფაბრიკა უკვე 5 წელზე მეტია შენდება, მაშინ როცა სანორმატივო ვადა ორწელიწადნახევარი წელი იყო. თუ იგი ასე საჭიროა, მაშ, რატომ აშენებენ ასე დიდხანს? ჩვენ გვქონდა წინადადება მრეწველობის ახალ დარგში ქალაქის ეკონომიკის სპეციალიზაციის, უკანასკნელი 8-10 წლის განმავლობაში დარგში შეძენილი გამოცდილების გათვალისწინებით, გადაგვეცა სათანადო საკავშირო სამინისტროსათვის უკვე აშენებული ფართობი და უმოკლეს ვადაში მოგვეგვარებინა იმ დიდრენტაბელური პროდუქციის გამოშვება, რომელიც ნაკლებად როდი სჭირდება ქვეყანას. ამასთან ჩვენ გვექნებოდა შესაძლებლობა უფრო სერიოზულად გვემუშავა სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვებაზე. ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს როგორც ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ, ისე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობამაც, რასაც ვერ ვიტყვით სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსა და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტზე.

ვთხოვთ ამხ. ბ. ნ. ნიკოლსკის მისთვის დამახასიათებელი სიმტკიცით მიიყვანოს ეს საკითხი ბოლომდე. ეს შესაძლებლობას მოგვცემს შევინარჩუნოთ ჩვენი ქალაქის ბუნება და ამავე დროს განვავითაროთ თანამედროვე წარმოება, სადაც გაიგზავნება შრომითი რესურსები, რომლებიც გამოთავისუფლდება ქალაქის შახტებიდან ქვანახშირის მოპოვების შემცირებასთან დაკავშირებით. ეს კიდევ ერთი პრობლემაა, რომელიც დაკავშირებულია უკვე ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროსთან.

აი იმ საკითხთა წრე, რომლებზეც მინდოდა გამემახვილებინა ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრების ყურადღება.

ვ., ი. კობახიძე

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრი

იმასთან დაკავშირებით, რომ აბასთუმანში ფუნქციონირებდა ძალზე ძველი მოდიფიკაციის ავტომატური სატელეფონო სადგური, მივიღეთ გადაწყვეტილება ახალი სადგურის აშენების შესახებ. აგებულია შენობა კავშირგაბმულობის ყველა სახეობის საშუალების, მათ შორის ავტომატური სატელეფონო სადგურის განსალაგებლად. აშენებულია აგრეთვე მაგისტრალი მთელი ხაზებითურთ. ერთი სიტყვით, ეს ობიექტი დამთავრებულია, ავტომატური სატელეფონო სადგური დამონტაჟებულია და სულ მალე მოხდება გადართვა ძველი სადგურიდან ახალზე. ამ ახალი სადგურის ტევადობა ორნახევარჯერ სჭარბობს ძველისას.

მეორე საკითხია გაზეთების მიტანის საკითხი. აქ სწორი შენიშვნა გამოითქვა. ჩვენც ასევე მიგვაჩნია, რომ არსებული გრაფიკი მიუღებელია, მაგრამ, როგორც იტყვიან, თავს ზევით ძალა არ არის. საქმე ის გახლავთ, რომ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებასთან შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით, სტამბაში გაზეთების გამოსვლის გრაფიკის გათვალისწინებით, კონკრეტულად აბასთუმანში მათი მიტანის დროა 14 საათი და 30 წუთი. მეტწილად გრაფიკი სრულდება, მაგრამ არის ხოლმე შეფერხებებიც — საწვავ-საპოხი მასალების უქონლობის, გაზეთის გამოსვლის დაგვიანების, გზების ცუდი მდგომარეობის გამო. ჩვენ გვაქვს დაჩქარების შესაძლებლობანი, მაგრამ მარტონი ვერაფერს გავხდებით. თუ გაზეთების გამოსვლის გრაფიკი გადაისინჯება, ჩვენ, რა თქმა უნდა, შევძლებთ გაცილებით უფრო ადრე მივიტანოთ გაზეთები აბასთუმანშიც და სხვა რეგიონებშიც.

რ. ა. გოგლიძე

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგე

პატივცემულო ელდარ შენგელაიას გამოსვლის ერთი თეზისის გამო მე მას ვეთანხმები, რომ ჩვენ ყველანი, ნებისმიერ დონეზე, საგულდაგულოდ უნდა ვემზადებოდეთ მაღალი რანგის უცხოეთის დელეგაციებისა და სტუმრების მიღებისათვის, როგორც რესპუბლიკის პრეზიდიუმში, ისე მთავრობაშიც, ამასთან არ უნდა ვეყრდნობოდეთ მარტო საკუთარ, თუნდაც დიდ, ცხოვრებისეულ გამოცდილებას, ჰკვიანურად უნდა ვსაუბრობდეთ ყოველ ენაზე, მათ შორის სტუმრის ენაზეც, თუ ეს ენა ყველა დამსწრისათვის გასაგებია. საუბრებს ხშირად ესწრებიან სტუმრები, რომლებმაც მხოლოდ რუსული ენა იციან.

თუ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და მთავრობაში საუბრის დროს ერთმანეთს ენაცვლება რუსული და ქართული, ვერ მივიჩნევ ამას ჩვენი კონსტიტუციური უფლებების შელახვად. პრაქტიკულად კი როგორ არის?

ამ რამდენიმე დღის წინათ საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირში საუბრის დროს, რომელსაც თავად თქვენ, პატივცემულო ელდარ, მშვენიერ რუსულ ენაზე უძღვებოდით, არც მიფიქრია, რომ თქვენ როგორღაც არღვევდით ან არ სარგებლობდით კონსტიტუციით მინიჭებული უფლებებით. თქვენი კოლეგები კი სენატორ ბრედლის ესაუბრებოდნენ მის მშობლიურ ინგლისურ ენაზე, რომელსაც ბევრი დამსწრე ვერ იგებდა.

მაგრამ თქვენ ისინი არ გაგიხერებიათ და, ალბათ, სწორედაც მოიქეცით. საუბარმა კარგ პოლიტიკურ დონეზე ჩაიარა. ამ დროს მე კვლავინდებურად თავს ვგრძნობდი ქართველად, ვამაყობდი ჩემი რესპუბლიკით, ჩვენი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციით, რომელიც უზრუნველყოფს ქართული ენის დაცვასა და აყვავებას, აგრეთვე მსოფლიოს ხალხთა ენების შესწავლასა და ცოდნას.

ასე რომ, პატივცემულო ამხანაგებო, ყველას მოგიწოდებთ, როცა პრობლემები არა გვაქვს, არ ღირს მათი გამოგონება. ესეც ხელს უშლის ჩვენს გარდაქმნას.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ◆ მოვლენა ◆ კომენტარი

კასპის რაიონის ოკამის კომპლექსურ-მექანიზებული საცდელ-საჩვენებელი მეურნეობის ხ9 ბრიგადის წევრები, რომელსაც ნათელა ბუთხუზი თაუკაცობს, რაიონში ერთ-ერთი პირველნი გავიდნენ საზამთრო-საგაზაფხულო სამუშაოების ჩასატარებლად.

ოკამელებმა თავიანთ 637 ჰექტარ ვენახს ამ რამდენიმე დღის წინ საშამპანურე „პინოს“ ჯიშის 20 ჰექტარი

ზვარი შემატეს

ახლა მიმდინარეობს ვენახების დამუშავება—სასუქების შეტანა, ხვნა და გადაწიდვნა, რწყვა.

აღსანიშნავია, რომ ახლადგაშენებულ ზვრებში, პირველად მევენახეების პრაქტიკაში, ყურძნის მოსავლის აღება-დაბინავებაში განხორციელდება მექანიზაციის სრული ციკლი.

▼ ▼

ორბიტის ამბები

ფრენის მართვის ცენტრი, 22 იანვარი. გრძელდება „მირ“ ორბიტული სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსის ფრენა, რომელსაც ვლადიმერ ტიტოვი და მუსა მანაროვი პილოტობენ.

გასული ორი დღის მანძილზე ეკიპაჟმა შეასრულა ასტროფიზიკურ ექსპერიმენტთა კიდევ რამდენიმე სერია „რენტგენ“ ორბიტული ობსერვატორიისა და „გლაზარ“ ტელესკოპის გამოყენებით, რომელიც აღრიცხავს გამოსხივებას სპექტრის ულტრაიისფერ ნაწილში. გამოკვლევის ობიექტები იყო ზეახალი ვარსკვლავი მაგელანის დიდ ღრუბელში და პატარა დათვისა და კილის თანავარსკვლავედების ცალკეული რაიონები.

„მარია“ აპარატურის მეშვეობით, გაგრძელდა მაღალენერგეტიკული ელექტრონებისა და პოზიტრონების ნაკადების გაზომვა დედამიწისირგვლივ კოსმოსურ სივრცეში.

სამედიცინო გამოკვლევათა გეგმის შესაბამისად გუშინ კოსმონავტებმა განახორციელეს „სპორტ“ ექსპერიმენტი. მისი მიზანია ფიზიკური ვარჯიშის — ადამიანის ორგანიზმზე უწონობის არასასიკეთო გავლენის პროფილაქტიკის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი საშუალების ოპტიმალური რეჟიმების გამორკვევა.

დღეს ეკიპაჟმა უნდა შეასრულოს მთელი რიგი სამედიცინო-ბიოლოგიური და ბიოქიმიური გამოკვლევები.

ვლადიმერ ტიტოვი და მუსა მანაროვი თავს კარგად გრძნობენ. „მირ“ პილოტირებული კომპლექსის ფრენა ნორმალურად მიმდინარეობს.

▼ ▼

„მეგობრობის მშენებლობა“ მთებში

მჟუობრში ჩადგა ჩრდილოეთ კავკასია-ამიერკავკასიის მაგისტრალური 250-ე კილომეტრი სიგრძის გაზსადენის პირველი უბანი. გაზსადენი გაჰყავთ კავკასიონის მთავარ ქედში ზღვის დონიდან ორი ათას მეტრ სიმაღლეზე და იგი ერთიანი სათბობის არტერიით დააკავშირებს ამიერკავკასიის სამ რესპუბლიკას.

ამჟამად ბუნებრივ გაზს საქართველო იღებს ჩრდილოეთ კავკასიიდან და აზერბაიჯანიდან მეოთხედი საუკუნის წინათ აგებული ტრასით. თავის დროზე ეს სრულიად საკმარისი იყო. ახალ გაზსადენს შეუძლია ყოველდღე გაატაროს ათობით მილიონი კუბური მეტრი გაზი. ეს რაოდენობა სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ მისი ნაწილი გადაეცეს სომხეთს.

გაზსადენი გაჰყავთ რთულ გეოგრაფიულ პირობებში. უნდა დაიძლიოს ხრამები, ბობოქარი მდინარეები, ხეობები. კლდეში უნდა გაიჭრას თორმეტი გვირაბი. ქართველ მშენებლებს დიდ დახმარებას უწევენ ამიერკავკასიის, სხვა რესპუბლიკების, აგრეთვე რუსეთის სფს რესპუბლიკის სპეციალისტები. სწორედ ამიტომ დაერქვა გაზსადენს „მეგობრობის მშენებლობა“.

როგორც კორესპონდენტს რესპუბლიკის გაზსახკომში აცნობეს, საქართველოში ხორციელდება 2000 წლამდე პერიოდისათვის შემუშავებული სახალხო მეურნეობის გაზიფიკაციის პროგრამა. მეორე ათასწლეულის დამლევისათვის ამ სახეობის სათბობზე რესპუბლიკის საჭიროება მიაღწევს წელიწადში რამდენიმე მილიარდ კუბურ მეტრს. ახალი გაზსადენი, რომელიც საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცეს მიმდინარე წლის დამლევს, დააკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს.

▼ ▼

ლანჩხუთის რაიონის მოწინავე კოლმეურნეობებში მიმდინარეობს ჩაის პლანტაციების ზამთრისა და გაზაფხულის სამუშაოები. სოფელ ჩიბათის კოლმეურნეობის მეჩაიეებმა

70 ჰექტარზე დაამთავრეს

პლანტაციების მსუბუქი შებარვა, მინერალური სასუქების შეტანა. ჩაის ბუჩქების მძიმე და ნახევრად მძიმე გასხვლის სამუშაოებში დაწინაურდნენ № 2 ბრიგადის წევრები, რომლებმაც ზუსტად აგროწესების მიხედვით გადაბარეს პლანტაციები, შეიტანეს კალიუმისა და ფოსფორის სასუქები, გაწმინდეს სადრენაჟო არხები. მათ გადაწყვეტილი აქვთ პირველ თებერვლამდე დაამთავრონ ჩაის პლანტაციების ზამთრის სამუშაოები. დაწინაურდნენ მეჩაიეები მ. პატარაია, ს. ჭეიშვილი და ტ. ჩახვაძე.

ძმობის ფესვები

...ვინც მზე მაჩუქა

ბემი, სახელად „ათინა“ ოკეანეს კვეთს და კანარის კუნძულების მიმართულებით მიდის. კაიუტაში სხედან კონსტანტინე ბალმონტი და ოლივერ უორდროპი, რომელიც ინგლისელისათვის უჩვეულო ემოციურობით საუბრობს საქართველოზე და თანამგზავრს თავისი დის, მარჯორი სკოტ უორდროპისეულ „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანს სთავაზობს.

მოგვიანებით კ. ბალმონტი იტყვის, რომ ამ მოგზაურობაში ბედმა სიხარული არგუნა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ზეცისა და მიწის შემაერთებელი ცეცხლოვანი ხიდია“, ხოლო „ქართველები ცხოვრობენ გრძნეულ სილამაზეში და არსად არ არის ხალხი ისეთი კეთილი და მოყვასი, როგორც საქართველოში. გასაკვირია მათი გრძნობიერება. ეს ხალხი მეტად ბევრი სიკეთის ღირსია...“

საქართველოს უცხოელი აპოლოგეტები ხშირად ემპირიული სილამაზის მიღმა ქართული სინამდვილის დრამატიზმს ვერ ხედავდნენ. იქნებ ამიტომაც საქართველოში ჩამოსულ რუს პოეტს, კონსტანტინე ბალმონტს, არისტოკრატიული თავშეკავებით შეხვდება აკაკი წერეთელი, თუმცაღა მასპინძლური თავაზიანობით, და ასე მიმართავს საზოგადოებას.

...„დღეს ვხედავთ ჩვენს შორის უაღრესად სიმპათიურ ინტელიგენტს კონსტანტინე ბალმონტს, მივესალმოთ, ბატონებო, მას“.

კ. ბალმონტი უდიდესი კდემით, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ვით ტაძარში“ შემოვიდა საქართველოში და ბუნების და ადამიანთა სილამაზე მშვენიერის უმაღლეს კატეგორიაში აიყვანა, რამეთუ „სილამაზე, რომელსაც მოწიწებით არ ვექცევით, შურს ძიობს ჩვენზე“. საქართველოსადმი თავისი პოზიცია კი პოეტმა თავიდანვე ასე განსაზღვრა: „უმაღლესს—უმაღლესი თაყვანისცემა“, და საქართველომაც ირწმუნა პოეტის სიყვარული.

ფრაგმენტები ბალმონტის პირადი წერილებიდან: „ახლა მე მომაკითხავენ და საზეიმო შეხვედრაზე გავეშურები. იქ იქნება მუსიკა, სიტყვები, ყვავილები და ლექსები. იქნება ისეთი ზეიმი, რომლის მსგავსიც მანდ, რუსეთში, არ იციან...“ (1915 წ.)

...„დღეს რუსთაველის ერთ-ერთი მშვენიერი თავი ვთარგმნე: „წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელთან მიწერილი“. მასზე ავაგე ჩემი ახალი სიტყვა რუსთაველზე, როგორც მზის პოეტზე. არაფრის გაკეთება აღარ მინდა, მსურს მხოლოდ რუსთაველს ვთარგმნიდე. ეს ჩემთვის უზენაესი სიხარულია“... (1916 წ.).

რუსთაველის მზის ყოვლისმომცველი ენერგია, მზისმეტყველება, როგორც სიკეთის აბსოლუტურობის სიმბოლო, სიკეთის მარადიულობის და ბოროტების ხანმოკლეობის თემა იყო მთარგმნელისათვის პოემის სიღრმესთან მიახლოების ძირითადი იმპულსი. გავიხსენოთ ბალმონტისავე საპროგრამო სტრიქონები: „ამქვეყნად მზისთვის მოვედი მხოლოდ...“

კ. ბალმონტი „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის პროცესში დეტალურად სწავლობს საქართველოს ისტორიას. გატაცებულია მისი კულტურით, ისტორიული პიროვნებებით: „...თამარი პოლიტიკური გონიერება და სამხედრო დიდებაა საქართველოსი. იგი თვით ღვთაებაა გამეფებული“. და კიდევ. „სიყვარულის ჰიმნით რუსთაველმა გადააჭარბა მსოფლიო გენიოსებს...“ პოეტი აღნიშნავს, რომ მცირერიცხოვან საქართველოს ისტორიულად ხშირად ამარცხებდნენ დიდი იმპერიები, მაგრამ მან კულტურის სფეროში ბევრი იმპერია დაამარცხა.

კ. ბალმონტი მალე გაიცნო მთელმა საქართველომ. ოვაციებით ეგებებოდნენ თბილისში, ქუთაისში... მეუღლისადმი გაგზავნილი დეპეშა ასეთი ლაკონიურია: „გამომეხმაურე. ქუთაისი. პოეტ ბალმონტს“.

პოეტის პოპულარობა მისმა ქართულ სულში და ეროვნულ ხასიათში ღრმად წვდომის სურვილმა განსაზღვრა.

ერთ-ერთ საზეიმო შეხვედრაზე კიტა აბაშიძემ მიმართა: „პოეტო, თუ იმით მოგხიბლეთ, რაც ჩვენს „კიდეზე“ არის, მაშინ არ მოვიდოდით და არც თაყვანს გცემდით, მაგრამ განა შეგეძლო შენ, პოეტს, რომელმაც გვაუწყა, რომ „ჭეშმარიტი პოეტური შემოქმედება არის გაღებული ბჭე სულის სამეუფოში“, შეგეძლო კი, შენ გაჩერებულიყავი ჩვენი სულის ბჭის ზღურბლთან და კარი არ შეგეღო მის სამეუფოში?“...

მოგვიანებით ტიციან ტაბიძე მეტაფორულად დაუკავშირებს ერთმანეთს ბალმონტს და საქართველოს:

„...და რუსთაველის მგზნებარე შაირს ზამთრის სინაზე გადაეფარა“.

გალაკტიონ ტაბიძემ სახელი „ბალმონტი“ პოეზიაში შემოიტანა როგორც საერთოდ პოეტის ზოგადი სახე-სიმბოლო:

„მივმართავ ბალმონტს,
მივმართავ შელის,
რომ არ გვაწუხებს მხოლოდ
სართული,
უდაბურება კალუგის ველის
და მწუხარება ჩვენი ქართული...“

გალაკტიონის ერთ-ერთ უბის წიგნაკში, რომელიც საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმშია დაცული, უცნობ ჩანაწერს მივაგენით: თითქმის ერთ გვერდზე დაწვრილებით აღწერილია წიგნის მაღაზია ქუთაისში, სადაც იკრიბებოდნენ ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები (ფოტოს დედანიც დაცულია ლიტერატურული მუზეუმის ფონდში). იქ 1915 წელს გადაუღიათ ეს სურათი გალაქტიონ ტაბიძეს, კონსტანტინე ბალმონტს და ვარლამ რუხაძეს.

ჩანაწერის ბოლოს ვკითხულობთ:

...„კედლის მარჯვენა მხარეს ჩამოკიდებული რუკა და მხატვრული რეპროდუქციები ცხადყოფენ ხანას პირველი იმპერიალისტური ომისას.

რუსულ და მერე ქართულ ენაზე გაკრულია განცხადება: „იყიდეთ წიგნები დაჭრილი ჯარისკაცების სასარგებლოდ...“

განცხადებებს ზევით ამავე კედელზე სამი დიდი ლიტერატურული პორტრეტია: ჩეხოვის, ტოლსტოის და გორკის მშვენიერი ლითოგრაფიები... ორი მათგანი, ტოლსტოი და ჩეხოვი, უკვე ცოცხალი არ არიან. მესამე, მაქსიმ გორკი—საზღვარგარეთაა. კაპრიდან ჩემს ნაცნობებს და მეგობრებს მოსდით მისი წერილები.

— რისთვის არ არის აქ შოთა რუსთაველის პორტრეტი? — მკითხა კ. დ. ბალმონტმა.

— მი სოციალ-დემოკრატია! — დამასწრო პასუხი პოეტმა ვ. რუხაძემ (ეს რა თქვა? ვინა ჰკითხავდა? მერე არც რუსული იცოდა ხეირიანად).

— მერე რა მანდედამ, — სთქვა ბალმონტმა, — პლეხანოვიც სოციალ-დემოკრატია, მაგრამ ჩინებულად ესმის ხელოვნება...“

გალაკტიონმა დაინახა, რომ ასეთი უადგილო, ვითომ „პოლიტიკური აქტივისტობა“ უცხოსთვისაც არ დარჩენილა შეუმჩნეველი.

საქართველოდან გამგზავრების ჟამს კონსტანტინე ბალმონტი იტყვის: „ისე არსად არ გამხარებია თანაგრძნობა, როგორც საქართველოში. მიხარია და ბედნიერი ვარ, რომ ქართველი საზოგადოება სიმპათიით შემხვდა.. ხვალ ვტოვებ საქართველოს და გულითად სალამს ვუძღვნი ჩემი შემოქმედების ყველა მეგობარს, ვინც მზე მაჩუქა...“

რამდენიმე წლის შემდეგ ჩრდილოელი პოეტი ასე გაიხსენებს საქართველოს: „კეთილი სულები ისევ ჩემთან არიან“...

ნინო ხოფერია.

სურათზე: გალაკტიონ ტაბიძე, კონსტანტინე ბალმონტი და ვარლამ რუხაძე. (1915 წ. ქუთაისი).

ხსოვნა

ალექსანდრე წულუკიძის დაბადების 100 წლისთავისათვის

ქართული უროლოგიის ფუძემდებელი

100 წლის წინათ ქუთაისში, ცნობილი აგრონომის პეტრე წულუკიძის ოჯახში დაიბადა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი ალ. წულუკიძე. ეს იყო ოჯახი, რომელსაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა იმდროინდელი მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლებთან. მათი ხშირი სტუმარი ყოფილა თვით აკაკი წერეთელი. ქუთაისის გიმნაზიაში სწავლისას ალ. წულუკიძე დიდ ინტერესს იჩენდა საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი, მონაწილეობდა მეფის მთავრობის წინააღმდეგ გამოსვლებში.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მან სწავლა განაგრძო ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1913 წელს და სამუშაოდ იგზავნება დაღესტანში, სოფლის ექიმად, სადაც ქირურგიულ მოღვაწეობასთან ერთად ეწეოდა იმ დროს გავრცელებული ინფექციური დაავადებების საწინააღმდეგო მუშაობას.

1916 წელს ალ. წულუკიძე მონაწილეობს პირველ მსოფლიო ომში. იგი ხელმძღვანელობს სანიტარიულ მატარებელს, სამედიცინო დახმარებას უწევს ათასობით დაჭრილს. ამავე წელს იგი გადმოდის თბილისში და მუშაობას იწყებს ახლანდელ ქალაქის მე-5 (ყოფილი მიხეილის) საავადმყოფოში ქირურგიული განყოფილების უშტატო ორდინატორად.

მალე ალ. წულუკიძე თბილისის ლაზარეთის ქირურგიულ განყოფილებაში გადაღის გრ. მუხაძესთან. იგი აქტიურად მონაწილეობს ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების დაფუძნებაში.

1918 წლის სექტემბერში ახლად დაარსებულ თბილისის უნივერსიტეტში გაიხსნა სამედიცინო ფაკულტეტი. უნივერსიტეტის ფაკულტეტის გამგეობამ ალ. წულუკიძე აირჩია პროპედევტიკური ქირურგიული კლინიკის უფროს ასისტენტად.

1922 წელს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისა და საბჭოთა საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით მას გზავნიან საზღვარგარეთ — გერმანიაში, ავსტრიასა და საფრანგეთში, მედიცინის ახალი დარგის — უროლოგიის თეორიული და პრაქტიკული საკითხების ასათვისებლად.

1923 წელს მან ბერლინში გამოაქვეყნა ორი ექსპერიმენტული შრომა უროლოგიის საკითხებზე. ავსტრიასა და საფრანგეთში იგი მუშაობდა უროლოგიურ კლინიკებში, იმ დროს ფრანგული უროლოგიური სკოლა ერთ-ერთი პირველი იყო მსოფლიოში. პარიზში იგი გაეცნო დერელის ბაქტერიოფაგის მოქმედებას და მნიშვნელობას. აქვე გაეცნო პასტერის ინსტიტუტს, მისი მუშაობის თავისებურებას, დიდ რუს მიკრობიოლოგს ბეზრედკას და ქართველ ბიოქიმიკოსს, შემდგომში აკადემიკოსს გ. ს. ასათიანს, რომელთანაც დიდი ხნის განმავლობაში ჰქონდა მეცნიერული ურთიერთობა.

1923 წელს ალ. წულუკიძე სამშობლოში დაბრუნდა როგორც პრაქტიკულად, ისე თეორიულად და მეცნიერულად მომზადებული სპეციალისტი უროლოგი. საქართველოს ქირურგიის პატრიარქმა გრ. მუხაძემ ყოფილ მიხეილის საავადმყოფოს განყოფილებაში მას გამოუყო 25 საწოლი. აღნიშნული დაწესებულება შეიძლება ჩაითვალოს უროლოგიის ჩანასახად საქართველოში. ამ განყოფილებაში საქართველოში პირველად ალ. წულუკიძემ ჩაატარა თირკმლის ფუნქციური ცდები, მანვე პირველად გააკეთა ადმავალი ურეთეროპიელოგრაფია. 1925 წელს ალ. წულუკიძემ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 1927 წელს იგი ქალაქის 1 კლინიკური საავადმყოფოს ბაზაზე ხსნის უროლოგიურ განყოფილებას, რომელსაც თვითონვე ხელმძღვანელობს. ამით მას წილად ხვდა ბედნიერება ყოფილიყო მეცნიერების ახალი დარგის — უროლოგიის დამფუძნებელი საქართველოში.

1928 წელს ალ. წულუკიძე კათედრის პრივატდოცენტად აირჩიეს და უროლოგიის კურსის კითხვა დაავალეს. 1930 წელს ახლადგახსნილ დამოუკიდებელ სამედიცინო ინსტიტუტში აირჩიეს სანიტარიული და სტომატოლოგიური ფაკულტეტის ქირურგიის კათედრის გამგედ. ამავე წელს მიენიჭა პროფესორის წოდება. 1936 წელს ალ. წულუკიძის ინიციატივით გაიხსნა ქირურგიული და უროლოგიური კლინიკა.

ალ. წულუკიძის თაოსნობით პირველ საავადმყოფოში გაიხსნა მედდების მოსამზადებელი კურსები, სადაც ექთნები, რომლებსაც უმაღლესში სწავლის გაგრძელების სურვილი ჰქონდათ, ორი წლის განმავლობაში გადიოდნენ სამედიცინო ინსტიტუტის პირველ და მეორე კურსის პროგრამებს, შემდეგ ირიცხებოდნენ ინსტიტუტში.

ალ. წულუკიძის ინიციატივით 1933 წელს შეიქმნა საქართველოს სამედიცინო საზოგადოების უროლოგიური სექცია, რომელსაც თვითონ ხელმძღვანელობდა.

1939-40 წლებში ალ. წულუკიძე მონაწილეობს ფინეთის ომში, იგი ხელმძღვანელობდა ექიმთა ბრიგადას, ხოლო დიდი სამამულო ომის პერიოდში ალ. წულუკიძე იყო საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის ევაკო-ჰოსპიტლების მთავარი ქირურგი. 1935 წელს ირჩევენ თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ქირურგიული და უროლოგიური კათედრის გამგედ, ხოლო 1953 წლიდან, განაგებს უროლოგიის კათედრას. 1949-53 წლებში ამ ინსტიტუტის დირექტორია.

1941 წელს წულუკიძეს მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება, 1945 წელს ირჩევენ სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1955 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია, მთელი რიგი წლების მანძილზე ალ. წულუკიძე იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი.

1958 წელს ალ. წულუკიძის ინიციატივით პირველად საბჭოთა კავშირში თბილისში გაიხსნა უროლოგიური დისპანსერი, ხოლო 1959 წელს იგი სათავეში ჩაუდგა მისივე თაოსნობით გახსნილ უროლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, რომელიც თავისი პროფილით იმ დროისათვის პირველი იყო საბჭოთა კავშირში და რომელსაც სიკვდილამდე ხელმძღვანელობდა.

1958 წელს წულუკიძე აკადემიის სამედიცინო განყოფილების თავმჯდომარედ აირჩიეს. იგი იყო მედიკოსთა მრავალი ყრილობისა და სიმპოზიუმის მონაწილე.

ალ. წულუკიძე განსაკუთრებით ყურადღებას უთმობდა საკურორტო ადგილების შესწავლას და მათ გამოყენებას შარდსასქესო სისტემის დაავადებებისას. სწორედ მან შეისწავლა კურორტები საირმე და არხილოსკალო.

უროლოგიის ინსტიტუტში ალ. წულუკიძის ხელმძღვანელობით დამუშავდა შარდის ბუშტის სიმსივნეების მკურნალობის ორიგინალური ოპერაციული მეთოდი (ტიუ), რომელიც ინსტიტუტის სახელით არის ცნობილი. პირველად ამიერკავკასიაში გაიხსნა ხელოვნური თირკმლის კაბინეტი, დაინერგა აორტოგრაფიის, ფლებოგრაფიის და ლიმფოგრაფიის მეთოდები.

მრავალფეროვანია ალ. წულუკიძის მეცნიერული, პრაქტიკული და პედაგოგიური მოღვაწეობა. მის კალამს ეკუთვნის 16 სახელმძღვანელო, 20 მონოგრაფია, 150 სამეცნიერო სტატია, მისი ხელმძღვანელობით შესრულებულია 500-მდე სამეცნიერო შრომა, დაცულია 30-მდე სადოქტორო, 50-მდე საკანდიდატო დისერტაცია. უკანასკნელ წლებში გამოვიდა მისი შრომები, რომლებიც ეხებოდა საქართველოს მედიცინის ისტორიის საკითხებს.

ალ. წულუკიძემ პირველად გამოაქვეყნა ქართულად უროლოგიის კერძო და ზოგადი სახელმძღვანელოები, რომლებიც შემდგომში ითარგმნა რუსულ, ჩინურ და სხვა ენებზე. მისი აღზრდილნი ამჟამად საბჭოთა კავშირში წამყვან უროლოგიურ კლინიკებს ხელმძღვანელობენ.

ალ. წულუკიძის მეცნიერული, პედაგოგიური და საზოგადო მოღვაწეობა სათანადოდ დააფასეს პარტიამ და სახელმწიფომ — იგი დაჯილდოებული იყო ლენინის, შრომის წითელი დროშის, წითელი ვარსკვლავის ორდენებითა და მედლებით. არჩეული იყო თბილისის მშრომელთა დეპუტატების რამდენიმე მოწვევის საბჭოს დეპუტატად.

ალ. წულუკიძე იყო ქირურგთა და უროლოგთა საკავშირო სამეცნიერო საზოგადოების წევრი, გერმანიის უროლოგთა საზოგადოების წევრი, სათავეში ედგა საქართველოსა და თბილისის უროლოგიურ საზოგადოებებს, იყო დიდი საბჭოთა სამედიცინო ენციკლოპედიის უროლოგიის განაკვეთის თანაავტორი და ჟურნალ „უროლოგიის“ რედკოლეგიის წევრი, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს სამეცნიერო საბჭოს წევრი და სხვა.

ალ. წულუკიძე დიდი მამულიშვილი და საზოგადო მოღვაწე იყო, სახლში სოფელ კვახჭირში, რომელშიც იგი ცხოვრობდა, ამჟამად სკოლაა. მეცნიერმა საკუთარი სახსრებით კაპიტალურად შეაკეთებინა სკოლის შენობა, კლუბისათვის შეიძინა საჭირო ინვენტარი, სასკოლო ბიბლიოთეკა გაამდიდრა მრავალფეროვანი ლიტერატურით.

ალ. წულუკიძეს გამოუქვეყნებელი დარჩა მოგონებანი — „სოფლის ექიმობიდან აკადემიკოსამდე“, რომელიც სიკვდილის შემდეგ დაიბეჭდა.

ოთხმოცი წელს იყო მიტანებული ალ. წულუკიძე, როცა გარდაიცვალა. მას ყოველთვის სიყვარულით იხსენებს მადლიერი შთამომავლობა.

ლ. მანაგაძე,
საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ალ. წულუკიძის სახელობის უროლოგიისა და ნეფროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი;

ნ. იზაშვილი,
ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი;

ნ. ბეროძე,
ინსტიტუტის კლინიკური განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

უცხოეთში

საქდესი იუწყება
23 იანვარი

ევროპა—მშვიდობიანი თანაარსებობის „სახლი“

დასავლეთ გერმანიასა და ესპანეთში
ე. ა. შევარდნაძის ოფიციალური ვიზიტის შედეგების გამო.

მსოფლიოს პოლიტიკური კალენდარი არ არის დაყოფილი წლის დროების მიხედვით. დიპლომატიური პროცესი კი განუწყვეტელი ხასიათისაა. იანვარი აღინიშნა საბჭოთა კავშირის მზარდი მტკიცე მეცადინეობით მიაღწიოს შემდგომ პროგრესს საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღების, სამხედრო კონფრონტაციის შემცირების გზაზე. ასეთი ძალისხმევის გამოყენების ადგილი გახდა დასავლეთ ევროპა. ამ რეგიონის ქვეყნები სსრ კავშირს სურს მიიჩნიოს მეზობლებად და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის პარტნიორებად, მოსპოს ევროპაში ცრურწმენებისა და გადაუჭრელი პრობლემების ხერგილები — ახეთი იყო მიზანი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და ესპანეთში სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ე. ა. შევარდნაძის ამ დღეებში გამართული ვიზიტებისა.

განიარაღების საკითხები, ბუნებრივია, მთავარი იყო ინტენსიური მოლაპარაკების დროს, რომელიც ბონსა და მადრიდში მიმდინარეობდა. მისმა მონაწილეებმა ერთიანი აზრი გამოთქვეს, რომ საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ ვაშინგტონში ხელმოწერილი ხელშეკრულება ამოსავალი წერტილი უნდა გახდეს განიარაღების ფართო და დინამიკური პროცესისათვის. ამასთან დიდი ყურადღება დაეთმო ევროპის უშიშროების სხვადასხვა ასპექტს და იმ როლს, რომელსაც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და ესპანეთი შეასრულებენ მის განმტკიცებაში.

დასავლეთის მიმომხილველები ამასთან დაკავშირებით ყურადღებას მიაპყრობენ იმას, რომ საბჭოთა მხარემ ხაზგასმით აღნიშნა, თუ რამდენად საშიში და დაუშვებელია დამატებითი შეიარაღების გეგმები, რომლებიც ახლა, ორი კლასის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ შეთანხმების მიღწევის შემდეგ, ჩაფიქრებული აქვთ ნატოს კაბინეტებში. ამერიკის გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ გულახდილად წერდა ამის გამო: „იქ იხილავენ წინადადებებს, რომ განალაგონ სხვადასხვა სახეობის შეიარაღება — ახალი ტაქტიკური რაკეტები, ჰაერიდან გასაშვები ფრთოსანი რაკეტები, სპეციალური ნივთიერებით დაფარული თვითმფრინავები, რომლებიც უხილავი ხდება რადარებისათვის, რათა შეიჭრან საბჭოთა საჰაერო სივრცეში“. ამასთან დასავლეთში იშველიებენ გამონათქვამებს: უნდა აღმოიფხვრას „დისბალანსი“ შეიარაღებასა და შეიარაღებულ ძალებში, მაგრამ არ ჩანს მისწრაფება პრაქტიკულად დაიწყონ ამისათვის მოქმედებაო. ამავე დროს საბჭოთა კავშირი მზად არის დაიწყოს მოლაპარაკება ჩვეულებრივი შეიარაღების, მათ შორის ეგრეთ წოდებული ორმაგი დანიშნულების საშუალებათა შესახებ, ამასთან ასეთი შეიარაღების ბირთვულ კომპონენტებთან დაკავშირებული საკითხები შეიძლება ცალკე განხილულიყო.

ბონსა და მადრიდში მოლაპარაკებაზე საერთაშორისო პრობლემების გარდა განიხილეს ორმხრივი ურთიერთობის საკითხები. მათი შედეგი გახდა ამ დედაქალაქებში ხელმოწერილი შეთანხმებანი, რომლებიც აფართოებენ თანამშრომლობას პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებში. საყოველთაო აღიარებით, მოლაპარაკებამ დააახლოვა „ევროპის საერთო სახლის“ კონცეფციის პრაქტიკულ განხორციელებასთან. ევროპა, რომელმაც შეიგნო თავისი ერთიანობა ატლანტიკიდან ურალამდე, შეიძლება გახდეს ის „სახლი“, სადაც მშვიდობიანად ითანაარსებებენ სხვადასხვა პოლიტიკური სისტემის სახელმწიფოები.

● **აშშ**

წარუდგენენ სენატს

● **ვაშინგტონი.** „უახლოეს რამდენიმე დღეში“ ადმინისტრაცია ოფიციალურად წარადგენს სენატის განსახილველად დეკემბერში სსრ კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის შეხვედრის დროს ხელმოწერილ ხელშეკრულებას საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების მოსპობის შესახებ.

ეს პარასკევს გამოაცხადა თეთრი სახლის თანამშრომელთა აპარატის ხელმძღვანელმა ჰოვარდ ბეიკერმა. რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტის წევრთა წინაშე გამოსვლისას, მან გამოთქვა რწმენა, რომ სენატი დაეთანხმება „ამ ისტორიული დოკუმენტის რატიფიკაციას, რომელიც პირველად ითვალისწინებს ბირთვული შეიარაღების მთელი კლასის მოსპობას“. ამ ხელშეკრულების დადება, თქვა თეთრი სახლის თანამშრომელთა აპარატის ხელმძღვანელმა, საგრძნობლად ამცირებს ბირთვულ საფრთხეს არა მარტო ამერიკისათვის, არამედ მთელი მსოფლიოსათვის.

პრეტენდენტთა გამოკითხვა

ვაშინგტონი. პრაქტიკულად ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის არც ერთ ახლანდელ პრეტენდენტს არა აქვს არავითარი ახალი იდეა ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მოწესრიგების გზების თაობაზე. ეს განაცხადა პრესკონფერენციაზე გამოსვლისას არაბეთ-ამერიკის ინსტიტუტის დირექტორმა ჯეიმს ზოგბიმ.

მან აღნიშნა, რომ ინსტიტუტმა მოაწყო ყველა პრეტენდენტის გამოკითხვა, რის შედეგადაც გამოირკვა, რომ უკეთეს შემთხვევაში მათ „გაზეპირებული აქვთ ცნობილი თეზისები“, მაგრამ არ გააჩნიათ არავითარი კონკრეტული წინადადებანი ამერიკის შეერთებული შტატების საახლოაღმოსავლეთო კურსის შეცვლასთან დაკავშირებით.

● **იაპონია—აშშ**

„ჩუმი ოკუპაცია“

ტოკიო. ჰავაის კუნძულების პლაჟები პალმებითა და აუზებითურთ, ნაკვეთები კალიფორნიაში ახალი სასაფლაოების ასაშენებლად, კაპიტალისტურ სამყაროში უდიდესი გრამოფონის კომპანია „სიბი-ეს რეკორდსი“ — ეს მხოლოდ ნაწილია იმ საკუთრების ვრცელი სიისა, რომელიც განვლილი თორმეტი თვის მანძილზე ჩაიგდო ხელში იაპონიის ბიზნესმა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ნიუ-იორკის ბანკის „ალმერ ბრაზერსის“ აქ გავრცელებულ მოხსენებაში ნათქვამია, რომ 1987 წელს ტოკიოელმა „საქმიანმა ადამიანებმა“ შეერთებულ შტატებში შეისყიდეს თითქმის 14,3 მილიარდი დოლარის კერძო კომპანიების აქტივები და უძრავი ქონება — ორჯერ მეტი, ვიდრე 1986 წელს.

● **ტანზანია**

შეთქმულების შიშით

პარიზი. ზანზიბარის პრეზიდენტმა იდრის აბდულ ვაკილმა, რომელსაც აგრეთვე ტანზანიის მეორე ვიცე-პრეზიდენტის პოსტი უკავია, პარასკევს გამოაცხადა, რომ უნდა დაითხოვოს კუნძულის რევოლუციური საბჭო, ვინაიდან „ხმა დაირხა, მოსალოდნელია შეთქმულებაო“, იუწყება ფრანს პრესის სააგენტო.

კომუნიკეში, რომელიც პრეზიდენტის პრესის საკითხთა მრჩეველმა გამოაქვეყნა, ნათქვამია, რომ თავისი პოსტიდან ითხოვენ აგრეთვე გენერალურ პროკურორს. სამინისტროებს მთავარი სამდივნოები მართავენ, სანამ ახალი მთავრობის წევრებს დანიშნავდნენ.

ჟენევის მოლაპარაკებაზე

ვის აძლევს ხელს ამერიკული დოკუმენტი?

ჟენევა. აქ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ბირთვული და კოსმოსური შეიარაღების საკითხებისადმი მიძღვნილი მოლაპარაკების მორიგი რაუნდის დროს გაიმართა შეხვედრები სტრატეგიული შეიარაღებისა და კოსმოსის საკითხთა ჯგუფებში. საბჭოთა მხარე, ვაშინგტონის მორიგების შესაბამისად თანამიმდევრულად ახორციელებს გეზს, რათა მომზადდეს პროექტი ხელშეკრულებისა, რომლის თანახმად რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულების შენარჩუნების პირობებში შეამცირონ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული შეტევითი იარაღი.

კოსმოსის საკითხთა ჯგუფის სხდომაზე 22 იანვარს ამერიკის დელეგაციამ შეიტანა პროექტი „სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელშეკრულებისა ზოგიერთი ღონისძიების შესახებ, რომლებიც ხელს უწყობენ თანამშრომლობის საფუძველზე გადასვლას ბალისტიკური რაკეტების წინააღმდეგ მომავალი სტრატეგიული თავდაცვის განვითარებაზე“. ამერიკის დოკუმენტის თვით სახელწოდებაცა და შინაარსიც, სამწუხაროდ, არ მიგვანიშნებს, რომ წარმოდგენილი პროექტი მიზნად ისახავდეს სტრატეგიული სტაბილურობის უზრუნველყოფას, რაც ესოდენ აუცილებელია სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების 50-პროცენტიანი შემცირების განხორციელებისათვის.

ამავე სხდომაზე სსრ კავშირის დელეგაციამ დაადასტურა ერთი კვირის წინათ შეტანილი საბჭოთა პროექტი „სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემცირება-შეზღუდვის თაობაზე სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელშეკრულების ოქმისა“, რომელიც ემყარება დებულებებს დათქმული ვადის მანძილზე რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულების დაცვისა და ამ ხელშეკრულებიდან გამოუსვლელობის შესახებ.

ფოტორეპორტაჟი

„კონტრასები“ ჰონდურასში

ამერიკის შეერთებული შტატები განაგრძობს გამოუცხადებელ ომს რევოლუციური ნიკარაგუის წინააღმდეგ. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ დაქირავებული ბანდები თითქმის ყოველდღე ესხმიან თავს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს, აწყობენ თავდასხმებს გზებზე, კლავენ უიარაღო გლეხებს, არ ინდობენ არც ქალებსა და არც ბავშვებს.

სურათზე: „კონტრასები“ ჰონდურასის ტერიტორიაზე განლაგებულ ერთ-ერთ ბანაკში. **საქდესის ფოტო.**

● **ჰაიტი**

გასამართლება ფორმალური ბრალდებით

● **ჰავანა.** ჰაიტის ოპოზიციის ერთ-ერთი წამყვანი მოღვაწე ლუი დეჟუა, რომელიც დაბრუნდა ამერიკის შეერთებული შტატებიდან და კარიბის ზღვის ქვეყნებიდან, ხუთშაბათს წარსდგა სასამართლოს წინაშე. მას წაუყენეს „საზოგადოებრივი უწესრიგობის პროვოკაციულად გამოწვევისა და ძალადობის წაქეზების“ ფორმალური ბრალდება.

პორტო-ო-პრენსის სასამართლოს შენობიდან გამოსვლისას დეჟუას მიესალმა რამდენიმე ასეული ჰაიტელი, რომლებიც მოითხოვენ შეწყვიტონ სასამართლო ანგარიშსწორება. როგორც მეთვალყურეებს მიაჩნიათ, ჰაიტის მმართველი ტრიუმვირატი გაბოროტებულია კრიტიკული შენიშვნების გამო, რომლებიც დეჟუამ გამოთქვა სამხედრო რეჟიმის მიმართ ამ მოგზაურობის დროს ჰაიტში გამართულ საარჩევნო ფარსთან დაკავშირებით. მან, კერძოდ, აღნიშნა, რომ ჰაიტში დემოკრატიზაციის გზაა შეიარაღებული ბრძოლა. მოსახლეობის დიდმა უმრავლესობამ, რომელიც გამოეხმაურა ოპოზიციის მოწოდებას, ბოიკოტი გამოუცხადა ამ აშკარად გაყალბებულ „არჩევნებს“.

მისი შედეგები უარყვეს უმრავლესმა მეზობელმა სახელმწიფოებმაც. ქვეყნის ოთხი ძირითადი ოპოზიციური დაჯგუფების ხელმძღვანელებმა მოუწოდეს სამხედრო ხელისუფალთ გააუქმონ „არჩევნების“ შედეგები.

მოგზაურობა

მკვლევარის ახალი ცდა

ლონდონი. ინგლისელმა პოლარულმა მკვლევარმა რალფ ფაინსმა გადაწყვიტა განმეორებით სცადოს ქვეითად მიაღწიოს ჩრდილოეთ პოლუსს.

ამჟამად იგი და მისი ორი მეგობარი ამთავრებენ ამ ექსპედიციის მოსამზადებელ სამუშაოებს კანადის დაბა რეზოლუტ ბეიში. „პლანეტის მწვერვალზე“ ლაშქრობის დაწყებას ისინი 10 მარტს აპირებენ კანადის უორდ ჰანტზე კუნძულიდან. ექსპედიციის მონაწილეებს განზრახული აქვთ სხვის დაუხმარებლად, ძაღლების ან სხვა სატრანსპორტო საშუალებების გამოუყენებლად 60 დღეში გაიარონ დაახლოებით 680 კილომეტრი. სურსათსა და საჭურველს მოგზაურნი თვითონ ატარებენ მარხილებით, რომლებიც სპეციალურად მათთვის შექმნა ბრიტანეთის ავიაკოსმოსურმა კომპანიამ „ბრიტიშ ეირსპეისმა“.

ორი წლის წინათ რალფ ფაინსის ამგვარი ცდა მარცხით დამთავრდა. დაახლოებით 160 კილომეტრი რომ გაიარა 50 გრადუსი სუსხის პირობებში და ფეხები მოეყინა, იგი იძულებული გახდა მოგზაურობა შეეწყვიტა.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

ცნობილი გახდა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიის ახალი ლაურეატების სახელი. საქართველოს მუსიკალური საზოგადოების ეს ჯილდო ორ წელიწადში ერთხელ ენიჭებათ კულტურის მოღვაწეებს საუკეთესო მუსიკალური ნაწარმოებების, მუსიკისა და ქორეოგრაფიის ისტორიისა და თეორიის ნაშრომებისათვის, ნაყოფიერი საკონცერტო მოღვაწეობისათვის. ზაქარია ფალიაშვილის სახელობის

პრემია მიენიჭა

რესპუბლიკის სახტელერადიოს სიმებიან კვარტეტს ლ. ჩხეიძის, გ. ხინთიბიძის, ა. ხარაძისა და რ. მაჩაბლის შემადგენლობით. ეს დიდი პატივი კოლექტივმა დაიმსახურა 1986-1987 წლებში საკონცერტო მოღვაწეობისათვის.

პრემია მიენიჭა კომპოზიტორ იოსებ ბარდანაშვილს „სიმებიანი კვინტეტის" შექმნისათვის.

ლაურეატის საპატიო წოდება სიკვდილის შემდეგ მიენიჭა მუსიკათმცოდნე გივი ორჯონიკიძეს წიგნისათვის „თანამედროვე ქართული მუსიკა ესთეტიკისა და სოციოლოგის თვალსაზრისით".

▼ ▼

„ცისკარი" საფრანგეთში მიემგზავრება

ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის მოცეკვავეთა კოლექტივმა „ცისკარმა" მიიღო საფრანგეთის ქალაქ სანტ-ერბლონში ხალხური შემოქმედების ყოველწლიურ ფესტივალში მონაწილეობის მიწვევა. ეს დათვალიერება, რომელიც ყოველწლიურად ეწყობა გაზაფხულობით, დიდად პოპულარულია.

ანსამბლმა ამ პატარა ფრანგული ქალაქის მერის მოწვევა მას შემდეგ მიიღო, როცა ქართველმა ბავშვებმა თავისი ხელოვნება უჩვენეს ფრანგ მაყურებელს.

კოლექტივი, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელია თამაზ ქორქოლიანი, საფრანგეთში ათ დღეს იყო. ამ ხნის მანძილზე ქართველი მოსწავლეების შემოქმედებას გაეცნენ პარიზში, სადაც ისინი გამოვიდნენ „ახალგაზრდულ ცენტრში" და საბჭოთა კავშირის საელჩოში, იუნესკოს კულტურულ ცენტრში. ბავშვები ეწვივნენ აგრეთვე ნანტს, გამართეს კონცერტი საფრანგეთის ტელევიზიით. მათი გამოსვლები გადაიღეს ვიდეოფირზე.

— ყველამ ვიგრძენით ძალა მოძრაობისა „ბავშვები

მშვიდობის დესპანები"

— თქვა ქალაქ სანტ-ერბლონის მერმა მარლ გოტიემ, — ეს მოძრაობა ძალიან ფართოდ გავრცელდა უკანასკნელ ხანს. საბჭოთა ბავშვების კონცერტს გულგრილი არავინ დაუტოვებია, მათ ბევრი რამ გვიამბეს საბჭოთა ცხოვრების წესზე.

„ჩემი ქვეყნის და ჩემი ამბავი"

ახე დაასათაურა თავისი შემოქმედებითი საღამო პოეტმა მიხეილ ქვლივიძემ, რომელიც 22 იანვარს შეხვდა მკითხველებს შალვა დადიანის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლში.

პოეტის ნაამბობში ერთმანეთს ენაცვლებოდა ბავშვობის ტკბილმწარე მოგონებები, ომისდროინდელი სიდუხჭირე, სწავლა, შრომა, ისევ სწავლა და ლექსები, რომლებიც ამ წლების პოეტურ დოკუმენტებად იქცნენ.

იმავ საღამოს შეიძინეს დამსწრეთ მიხეილ ქვლივიძის ახალი წიგნი, რომელიც „ნაკადულს" გამოუცია. საერთოორვეულისებრ წიგნში ლექსებთან ერთად ნახატებიც არის. ორივე ქვლივიძის კალამს ეკუთვნის — მან ხომ თბილისის სამხატვრო აკადემიის გრაფიკის ფაკულტეტი დაამთავრა.

წიგნს ერთ-ერთი მისი პიესის სახელწოდება დაენათლა — „წყნარი საღამო".

შემოქმედებით საღამოზე პოეტმა ძველ ლექსებთან ერთად წაიკითხა ახალი, გარდაქმნის სულისკვეთებით აღბეჭდილი ლექსებიც. რამდენიმეს უახლოეს დღეებში გამოვაქვეყნებთ, მათ შორის ის ლექსებიც იქნება, პოეტმა ადრევე „უჯრის პატიმრები" რომ უწოდა.

▼ ▼

ახალგაზრდა მეცნიერთა სემინარი

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაში მეცნიერების ახალგაზრდა მოღვაწეთა როლის გაზრდის აქტუალურ საკითხებს მიეძღვნა ახალგაზრდა მეცნიერ-საზოგადოებათმცოდნეთა რესპუბლიკური თათბირ-სემინარი, რომელიც მოაწყვეს საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიამ და რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ. იგი გაიხსნა თელავში. თათბირ-სემინარში მონაწილეობენ თვალსაჩინო ეკონომისტები, იურისტები, ფსიქოლოგები, ფილოსოფოსები და სამართალმცოდნეები.

სემინარის დღეებში გაიმართა პლენარული და სექციური მეცადინეობები, საუბარი „მრგვალ მაგიდასთან", შეხვედრები რაიონის პარტიულ-სამეურნეო და კომკავშირულ აქტივთან, ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის" რედკოლეგიასთან.

▼ ▼

ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოს საზოგადოებრიობამ დიდი სიყვარულითა და პატივისცემით აღნიშნა ლადო ასათიანის დაბადების 70 წლისთავი. ამ თარიღს ჩვენმა გაზეთმა მთელი გვერდი მიუძღვნა. ფართოდ გამოეხმაურნენ პოეტის იუბილეს ქართული პრესა და საქართველოს ტელევიზია. მკითხველმა მიიღო ლადო ასათიანის პოეტური კრებული.

საქართველოს მწერალთა კავშირში გამართულმა ლადო ასათიანის დაბადების 70 წლისთავის აღმნიშვნელი საიუბილეო კომისიის სხდომამ, გაითვალისწინა რა პოეტის დიდი პოპულარობა, გადაწყვიტა ლადო ასათიანის ხსოვნის პატივსაცემად საიუბილეო საღამოები მოეწყოს თბილისში, გორსა და ქუთაისში.

ხვალ, 25 იანვარს საქართველოს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება ლადო ასათიანის 70 წლისთავის

საიუბილეო საღამო

პოეზიის მოყვარულთა წინაშე თავიანთი მოგონებებით გამოვლენ ქართველი მწერლები, პოეტები, ლადოს ლექსებს წაიკითხავენ ჩვენი ცნობილი მსახიობები, შესრულდება აგრეთვე ლადო ასათიანის სიტყვებზე დაწერილი ქართული სიმღერები.

▼ ▼

ბაირონის დაბადების 200 წლისთავისათვის

...1858 წლით არის დათარიღებული ბაირონის ერთ-ერთი ლექსი „სტიროდეთ („ებრაული მელოდია"). პირველად იგი ქართულად თარგმნა პეტერბურგის უნივერსიტეტის ოცი წლის სტუდენტმა ილია ჭავჭავაძემ. ამ ფაქტში თავისი კანონზომიერება ჩანს. ილია ჭავჭავაძისთვის მახლობელი იყო დიდი ინგლისელი პოეტის თავისუფლებისმოყვარე სული, მისი მეამბოხური შემოქმედება, სამართლიანობის დაუოკებელი წყურვილი. ასე შეიქმნა ილიას კალმით ბაირონის, იმ კაცის ლირიკული ნაწარმოების ღირსეული ქართული ეკვივალენტი, რომელიც საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი პოეტი გახდა.

ბაირონის პოპულარობას საქართველოში ასახავს წიგნის გამოფენა, რომელიც ამ დღეებში გაიხსნა კ. მარქსის სახელობის რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში.

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტების **მ. შარიქაძის, ბ. ჩხაიძის**, აგრეთვე **საქინფორმის** მასალები რუბრიკისათვის მოამზადა **ლ. ხუბულურმა.**

დემოკრატიზმი

ხელმძღვანელი კოლექტივმა დაასახელა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი გახდა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, უპარტიო მერაბ ალექსიძე. მას ხმა მისცა კავკასიის ამ უძველესი სამეცნიერო დაწესებულების სამეცნიერო საბჭოს გაფართოებული სხდომის 108 მონაწილიდან 79-მა.

წინანდელმა დირექტორმა — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ბენედიქტე ბალავაძემ რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმში შეიტანე განცხადება და ითხოვა გაეთავისუფლებინათ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.

თავისი გადაწყვეტილება კომუნისტმა ასე ახსნა: „დირექტორად დავინიშნე 41 წლისა, როდესაც ზღვა ენერგია მქონდა. ამ თანამდებობაზე, საერთო ანგარიშით — ხანგამოშვებით — ოც წელიწადს ვიმუშავე, განვლილი წლების მანძილზე ინსტიტუტში ჩამოყალიბდა, ჩემი აზრით, გეოფიზიკოსთა ძლიერი კოლექტივი, რომელსაც შეუძლია გადაწყვიტოს ჩვენი დარგის ნებისმიერი რთული ამოცანა. ამჟამად საბჭოთა და, კერძოდ, ქართული მეცნიერება შემობრუნების რთულ ეტაპზეა. გარდაქმნის პირობებში უნდა განხორციელდეს დიდი ნახტომი გეოფიზიკის პრობლემების გადაჭრის საქმეშიც. მაშ, თუ არა უფრო ახალგაზრდა, მაგრამ არანაკლებ მცოდნე და გამრჯე თანამოსაგრეები და კოლეგები, სხვა ვინ უნდა შეეჭიდოს ენერგიულად ამ ამოცანების გადაწყვეტას..."

ამჟამად ბენედიქტე ბალავაძე გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის მრჩეველია. იგი განაგრძობს მეცნიერულ კვლევას...

მერაბ ალექსიძეს დირექტორად არჩევა პირველებმა მიულოცეს კომუნისტებმა, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორებმა კარლო ქართველიშვილმა, არჩილ ხანთაძემ და თამაზ ჭელიძემ, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინ მისი კონკურენტები იყვნენ. სამივენი გამოცდილი ხელმძღვანელები არიან და დიდმნიშვნელოვან კომპლექსურ სამეცნიერო პროგრამებს ასრულებენ გეოფიზიკური კვლევის დარგში.

სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე გამოსვლისას საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ალბერტ თავხელიძემ თქვა: „ეს დიდი პატივი და კოლექტივის სიამაყეა, რომ შეძლო დირექტორის თანამდებობაზე დაესახელებინა ამდენი ღირსეული კანდიდატი". საგულისხმოა ასეთი ფაქტი. კანდიდატები თითქმის თანატოლები არიან. მათზე ხუთი წლით უფროსი აღმოჩნდა მხოლოდ ახლანდელი დირექტორი. იგი პირველი გახდა მათ შორის 1983 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე გამოსულმა ამხანაგებმა, შეიძლება ითქვას, თანაბრად კარგად დაახასიათეს ყველ კანდიდატი. მათ თვითონაც გააცნეს კოლეგებს თავიანთი ზუსტი და მკაფიო, და ამასთანავე მსგავსი პროგრამები, თუ როგორ იმოქმედებდნენ დირექტორის თანამდებობაზე.

მაშინ რატომ გახდა ლიდერი მერაბ ალექსიძე? იქნებ იმიტომ, რომ მან სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლით ცენტრში ასპირანტურის დამთავრებიდან სამი წლის შემდეგ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო შვიდი წლის შემდეგ — 36 წლისა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი გახდა? არა გვგონია.

მერაბ ალექსიძის არჩევის „საიდუმლო" სულ მარტივად აიხსნება. ინსტიტუტში პრაქტიკულად არ აღმოჩნდა არცერთი სპეციალისტი, რომლის მეცნიერულ ბედშიც მერაბ ალექსიძეს არ შეესრულებინოს გარკვეული როლი პირდაპირ თუ არაპირდაპირ. იმიტომ, რომ იგი უაღრესად ფართო პროფილის გეოფიზიკოსია. მის სახელთან არის დაკავშირებული მონაცემების ინტერპრეტაციისა და ანალიზის მათემატიკური მეთოდების, სხვადასხვა გეოფიზიკური პროცესის მათემატიკური მოდელირების, გამოთვლითი ტექნიკის ფართო დანერგვა გეოფიზიკურ გამოკვლევებში. ბევრ ახლანდელ მეცნიერებათა კანდიდატს დახმარებია მ. ალექსიძე როგორც ნაშრომთა ოფიციალური ხელმძღვანელი, ხოლო უმრავლესობას — „შინაურულად", როგორც კეთილმოსურნე, უფრო გამოცდილი უფროსი ამხანაგი. გარდა ამისა, დირექტორის მოადგილედ ყოფნის დაახლოებით თხუთმეტი წლის მანძილზე თავი გამოიჩინა, როგორც მართალია, მკაცრმა, მაგრამ პრინციპულმა და სამართლიანმა ხელმძღვანელმა, ნიჭიერმა სწავლულმა ორგანიზატორმა, უნარიანმა ადმინისტრატორმა.

იგი ყველაზე მკაცრი საზომით საკუთარ თავს უდგება ხოლმე. ნიშანდობლივია ასეთი ფაქტი. სამეცნიერო საბჭოს წინასწარ სხდომებზე მ. ალექსიძემ ორჯერ მოხსნა თავისი კანდიდატურა დირექტორის თანამდებობაზე კენჭისყრიდან. აი, ასე სერიოზულად მოეკიდა იგი ამ თანამდებობაზე შესაძლო არჩევას. ალბათ, სწორედ საკუთარი თავისა და დაკისრებული საქმისათვის ამ დიდი პასუხისმგებლობის გრძნობის გამო აირჩია ინსტიტუტის კოლექტივმა მერაბ ალექსიძე თავის ლიდერად.

კ. ცხომელიძე,
საქინფორმის კორ.

ფ. შენგელია

გარდაიცვალა სკკპ წევრი 1918 წლიდან, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი ფარნაოზ სტეფანეს ძე შენგელია.

ფ. ს. შენგელია დაიბადა 1894 წელს ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ჭოლაში, 1915 წელს მეფის არმიაში გაიწვიეს, ჯარიდან დაბრუნებული ს. გეგეჭკორის პარტიზანულ რაზმში ჩაირიცხა და სხვა ბოლშევიკებთან ერთად იარაღით ხელში აქტიურად იბრძოდა მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ წალენჯიხაში, ზუგდიდში, ჩრდილოეთ კავკასიაში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იგი აქტიურად მონაწილეობდა ახალი ცხოვრების მშენებლობაში, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მენშევიკური ავანტიურის ლიკვიდაციაში.

1930-1948 წლებში ფ. ს. შენგელია მუშაობდა ჭოლის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, პირველი ჭოლის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. პენსიაზე გასვლის შემდეგაც არ შეუწყვეტია ზრუნვა საკოლმეურნეო საქმისათვის. სხვადასხვა დროს არჩეული იყო პარტიის რაიკომის წევრად და რაიონული საბჭოს დეპუტატად.

დაჯილდოებული იყო საპატიო ნიშნის ორდენით, მრავალი მედლით და სკკპ რიგებში ყოფნის 50 წლისთავის სამკერდე ნიშნით.

ფ. ს. შენგელიას საქმიანობა, პარტიული სინდისით აღსავსე ცხოვრება მისაბაძი და სამაგალითო იყო ახალგაზრდობისათვის. რაიონის მშრომელები სათუთად შეინახავენ მის ნათელ ხსოვნას.

საქართველოს კომპარტიის ჩხოროწყუს რაიკომი, პარტიის ვეტერანთა რაიონული საბჭო.

სპორტი

გუშინ თბილისსა და დონეცკში დაიწყო კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე ეტაპის პირველი ტური. თბილისში პირველ დღეს გამართული მატჩების შედეგები ასეთია: ცსკა-მოსკოვის „დინამო"—114:94 (62:35), თბილისის „დინამო"-რიგის ვეფი — 105:92 (55:44).

* * *

ახლა კი ცოტა მოგვიანებით, მაგრამ მაინც უპრიანია გავიხსენოთ ის, თუ რა ძნელი ბრძოლა გადახდათ თავს პირველი ეტაპის ბოლო ორი ტურის მატჩებში თბილისის დინამოელებს (დონეცკსა და ტალინში) იმისათვის, რომ საბოლოოდ დამკვიდრებულიყვნენ 8 საუკეთესოს შორის. ამ ქალაქებში თბილისელებმა 4 — 4 მატჩი გამართეს და დონეცკში და ტალინშიც 2 —2 მატჩი მოიგეს. მათს რვავე შეხვედრას დავესწარით და ამდენად დინამოელთა წარმატებისა თუ მარცხის უშუალო მოწმენი ვიყავით. თვით ის ფაქტი, რომ თბილისელებმა რვა მატჩიდან ოთხის მოგება, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ძირითადად მხოლოდ სასტარტო ხუთეულის ძალაზე დაყრდნობით შეძლეს, მიუთითებს, რომ ჩვენმა გუნდმა ფიზიკური ძალების უაღრესი დაძაბვის ხარჯზე დაიმკვიდრა ადგილი მზის ქვეშ. დინამოელთა მწვრთნელებს არჩევანი არც ჰქონდათ, რადგანაც მეორე ეშელონის წევრთაგან ზოგიერთის სპორტული ფორმა თუ ოსტატობა სასურველზე დაბალი იყო. ამიტომ ყოველი მატჩი სავსე იყო დაძაბული მომენტებით და დრამატიზმით, ხშირად ვიყავით მოწმენი ისეთი სიტუაციებისა, როცა თბილისელთა წინსვლა ბეწვის ხიდზე ყოფნას ემსგავსებოდა და ძნელად თუ ვინმე იწინასწარმეტყველებდა სასწორის პინა ვის მხარეს გადასწონიდა. ასეთი სიტუაციების მოწმენი ვიყავით დონეცკში ჯერ მინსკის რტოსთან განმეორებით მატჩში, შემდეგ კი რიგის ვეფთან მეორე შეხვედრაში. ორივე შემთხვევაში მატჩების დამთავრებას 22-22 წამი აკლდა, როცა დინამოელები 2 ქულით უგებდნენ მეტოქეებს. ამ ვითარებაში საკმარისი იყო მცირეოდენი შეცდომა, და ვინ იცის როგორ დატრიალდებოდა საქმე. სწორედ ამ უაღრესად მძიმე ვითარებაში თბილისელმა კალათბურთელებმა იშვიათი სიდინჯით გაართვეს თავი ამოცანას და ორჯერვე გაიმარჯვეს. თითქმის ასეთივე სცენარით წარიმართა თბილისელთა ორი მატჩი ტალინში ადგილობრივ „კალევთან". ამ გუნდთან პირველ შეხვედრაში, რომელიც ასევე ორქულიანი სხვაობით მოიგეს თბილისელებმა, მათთვის დიდხანს გადაულახავი სიძნელე მსაჯთა უამრავმა შეცდომამაც განაპირობა. ამ მხრივ განსაკუთრებით დრამატული იყო მეორე ტაიმი, ტალინელებმა ისედაც ზომას გადამეტებული ხისტი თამაშის ყაიდა კიდევ უფრო გაამკაცრეს, რომელიც, სამწუხაროდ, ხშირად აშკარად უხეში თამაშის სახეს იღებდა. თანაც მსაჯების სასტვენი დუმდა, და თუ გაისმოდა, გაისმოდა მეტოქეთა სასარგებლოდ. და როცა ამ ნერვულ ატმოსფეროში თბილისელთა მწვრთნელმა ლევან მოსეშვილმა მოკრძალებით უკმაყოფილება გამოთქვა, მსაჯებმა იმ წამსვე ტექნიკური ჯარიმით აღნიშნეს მათივე მიზეზით გამოწვეული მწვრთნელის სამართლიანი, მაგრამ მაინც არასწორი მოქმედება. ყოველივე ეს მოხდა იმის გამო, რომ მსაჯები თბილისელ კალათბურთელთა საზიანოდ კონტაქტურ თამაშში შეცდომას აღნიშნავდნენ, ხოლო ტალინელთა უხეშობამდე მისულ კონტაქტურ მოქმედებას ვერ „ამჩნევდნენ". ეს მატჩი გამონაკლისი როდი იყო. სხვა გუნდების მონაწილეობით გამართულ მატჩებშიც ვიხილეთ მსაჯების მიერ თამაშის ამ წესის თავისებური ინტერპრეტაციის შემთხვევები. რაც შეეხება იმას, თუ რარიგად იმარჯვა ტალინელებთან მატჩის ბოლო წამებზე გელა დარსაძემ, მკითხველებს ადრევე შევატყობინეთ. დარსაძის გამარჯვების მაუწყებელ

კალათბურთი

როცა ჩიტი ბდღვნად არა ღირს

„კომუნისტის" კომენტარი

3-ქულიან ნასროლ ბურთს მიზნისთვის რომ არ მიეღწია, „დინამო" ალბათ 8 საუკეთესო კოლექტივს მიღმა დარჩებოდა. ერთი სიტყვით, ამ მატჩში თბილისის „დინამო" მეტოქეთა ძალასაც ალუდგა და მსაჯთა „შეცდომებსაც". ოღონდ ეს არის, ამ შეხვედრაში დარსაძემ ფეხი იტკინა და ლენინგრადის „სპარტაკთან" მატჩში ველარ გამოვიდა. ეს მძიმე დანაკლისი იყო და, ცხადია, უწინარესად სწორედ ამან განაპირობა ლენინგრადელებთან დიდი სხვაობით დამარცხება. თბილისელებმა დონეცკში რომ რიგის ვეფთან გამართული პირველი მატჩი 19-ქულიანი სხვაობით წააგეს, ყველამ იცის, მაგრამ როგორ სიტუაციაში, მოკლედ მოგითხრობთ: ამ შეხვედრის პირველი ტაიმის მეთორმეტე წუთზე თბილისელები 12 ქულით იყვნენ დაწინაურებულნი, შემდეგ კი რიგელებმა მდგომარეობაც გააწონასწორეს და ბოლოს გამარჯვებაც მოიპოვეს, რაშიც მათთან ერთად ერთგვარი წვლილი მსაჯებსაც მიუძღოდათ. ამჯერად დინამოელებს ძალა აღარ ეყოთ ალმართის სძლევად...

ასეა თუ ისე, თბილისის „დინამოს" საკავშირო ჩემპიონატის პირველ ეტაპზე არაერთ სიძნელესთან ჰქონდა საქმე და, ცხადია, ჯერ კიდევ ექნება. გუნდის შემადგენლობა ისევ და ისევ არათანაბარძალოვანია, მოთამაშეთა ერთი ნაწილის ოსტატობის დონე არცთუ ურიგო, მაგრამ ზოგისა საშუალო, ზოგისა კი საშუალოზე დაბალია. სამწუხაროდ, დინამოელთა პოტენციური შესაძლებლობები ამჟამად არცთუ დიდია და მისი გამდიდრება მარტო დინამოელთა კოლექტივზე როდია დამოკიდებული. „დინამო" ელის რეზერვებს, ახალ სახელებს, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ და სხვა პრობლემებს თბილისელები ნელა, მაგრამ თანდათანობით ძლევენ. ეს უთუოდ ჩანს მწვრთნელთა მუშაობაში, თავისი საქმისადმი დიდ პასუხისმგებლობაში და ერთგულებაში. და მით უფრო საწყენია, რომ ჩვენ, ჟურნალისტებს ხშირად სრულიად გაუმართლებელი ემოციები გვძალავს, სიღინჯით ვერ ვაანალიზებთ ამა თუ იმ სპორტულ კოლექტივში შექმნილ ვითარებას, ანდა სწორედ ვერ ალვიქვამთ ხოლმე მოცემული კონკრეტული მატჩის შემდეგ სპორტულ კოლექტივში თუ მის ხელმძღვანელობაში წარმოშობილ გუნება-განწყობილებას.

ამასთან დაკავშირებით მკითხველთა ყურადღება გვინდა გავამახვილოთ კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის გარშემო გაზეთ „სოვეტსკი სპორტში" ზედიზედ გამოქვეყნებულ ორ პუბლიკაციაზე, რომლებიც ორივე შემთხვევაში დინამოელთა მწვრთნელს ლევან მოსეშვილს ეხებოდა. „სოვეტსკი სპორტის" საკუთარი კორესპონდენტი ი. იურისი 9 იანვარს დაბეჭდილ წერილში გაზეთის მკითხველებს ამცნობს, რომ მოსეშვილმა თურმე მას საფუძველი მისცა ეფიქრა, „რომ მწვრთნელის მაღალი წოდება ყოველთვის არ არის ასევე სანიმუშო ზრდილობისა და პრესის მიმართ პატივისცემის სიმბოლო". ყოველივე ჩემს თვალწინ მოხდა და შემიძლია სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ კორესპონდენტს მეტი ობიექტურობა მართებდა.

მას შემდეგ რაც მინსკის რტისთან თბილისის „დინამომ" უწინარესად თავისი ულიმღამო თამაშით (დავძენთ, იმასაც რომ ამ მატჩზე არც მსაჯობა იყო მთლად კვალიფიციური) იწვნია მარცხი, კორესპონდენტმა თამაშის დამთავრებისთანავე ინტერვიუ სთხოვა მოსეშვილს. ამ არცთუ ტაქტიან თხოვნაზე მოსეშვილმა კორესპონდენტს აღუთქვა, რომ მომდევნო მატჩის შესვენებაზე ესაუბრებოდა; შესვენების დამთავრებას ორიოდე წუთი აკლდა და კორესპონდენტი ჯერ კიდევ არ ჩანდა, ამასობაში ავტობუსი დინამოელებს ელოდა და ამის გამო მოსეშვილი იძულებული გახდა გუნდთან ერთად სასტუმროში წასულიყო. საჭირო იყო უმთავრესი — საუბარი გუნდის წევრებთან, განვლილი მატჩიდან სათანადო დასკვნების გამოტანა. როცა ხანი გამოხდა, ერთგვარად დაცხრა მარცხით გამოწვეული ემოციები, იმავე საღამოს მოსეშვილს ვესაუბრე განვლილი მატჩის თაობაზე და იგი იოტისოდენადაც არ ცდილა, რომ თბილისელი კალათბურთელების ულიმღამო თამაშისათვის რაიმე გამართლება ეძებნა. აღნიშნა ყველა ნაკლი, შეცდომა, და იმედი გამოთქვა რომ დინამოელები ამ გაკვეთილიდან შესაბამის დასკვნებს გამოიტანდნენ. ჩემი აზრით, იურისს არავინ ჩამორთმევდა ჩინ-მედლებს, თუნდაც იმავე საღამოს რომ ცდილიყო იმის გაგებას, თუ რატომ არ შედგა მწვრთნელისა და კორესპონდენტის ადრე დათქმული საუბარი. დარწმუნებული ვარ მოსეშვილი იმავეს გაუმეორებდა იურისს, რაც ჩემთან საუბარში განაცხადა.

იურისი თავის სტატიაში არ გამორიცხავს, რომ დონეცკის ტურში თბილისელებისა და მინსკელების გუნდების სასტარტო მატჩის დროს დინამოელთა „ნეიტრალური" გულშემატკივრების შეძახილები „დი-ნა-მო", „დი-ნა-მო" გამოწვეული იყო იმით, რომ სპეციალისტებმა „სპორტპროგნოზის" თამაშში მნიშვნელოვანი უპირატესობა თბილისელებს მიანიჭეს. იურისი დაასკვნის, რომ გულშემატკივრები „შეცდნენ". თუ რატომ შეცდნენ, ამის შესახებ სდომებია კორესპონდენტს მოსეშვილთან საუბარი, რომელიც სრულიად შემთხვევით ჩაიშალა, და არა იმიტომ, რომ მოსეშვილს აღზრდა-ზრდილობა აკლია და გაზეთისა და ჟურნალისტისადმი უპატივცემლობა გამოიჩინა. წარსულში ამ შესანიშნავ კალათბურთელს, ახლა კი გუნდზე გადაგებულ მწვრთნელს, რომელიც გაზეთების თანამშრომლებისადმი ყოველთვის ზედმიწევნით ყურადღებიანი და გამგებია, ასეთი შეურაცხყოფა არ უნდა აკადროს ჟურნალისტმა. მით უმეტეს, რომ მას ეს არ დაუმსახურებია. აი, იურისმა კი იკადრა. სამწუხაროდ, იურისმა სასტარტო მატჩების დროსაც და შემდეგაც უფრო მნიშვნელოვანი თემა და საჭირბოროტო პრობლემა ვერ გამონახა საწერად. ამბიციამ კი დასძალა, წმინდა საკალათბურთო თემატიკას მეტისმეტად დაშორდა და 12 იანვრის ახალ პუბლიკაციაში კვლავ თავისეული შეურაცხმყოფელი პოზიციის გაღრმავება ირჩია. რატომ? რატომ იჩქარა, რატომ არ სცადა ბოლომდე გარკვეულიყო საქმის ვითარებაში? უფრო მეტიც, 12 იანვრის პუბლიკაციაში ამბობს, მოსეშვილმა მიჩივლაო ქვანახშირის მაღაროს ხელმძღვანელობასთან, რომლის სპორტულ ღირსებასაც იცავს კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატში ადგილობრივი გუნდი „შახტიორი". ამაში იურისმა ლოგიკა ვერ იპოვა. არ უნდოდა და ვერ იპოვა, ისევე როგორც დათქმული და შემთხვევით ჩაშლილი საუბრის მე'რე აღარ ინდომა მოსეშვილის თავად პოვნა და საქმეში გარკვევა. ჩქარობდა იურისი, საჯაროობას ამოფარებულმა სენსაციური მასალები გამოაცხო და შეურაცხყო ალალ-მართალი კაცი. მოსეშვილის ლოგიკა კი ის იყო, რომ „შახტიორის" ხელმძღვანელები დახმარებოდნენ იურისთან შეხვედრაში. ეს უკანასკნელი ხომ მოსეშვილს სათოფეზე აღარ ეკარებოდა. მე მგონია, ისინი რომ შეხვედროდნენ, იურისი თუ მთლად გაუგებარი კაცი არ არის, მეორე პუბლიკაციით კიდევ უფრო არ გაამწვავებდა გაუგებრობაზე აღმოცენებულ, მისივე ფანტაზიით შექმნილ სკანდალურ ამბავს. და კიდევ ერთი. დონეცკშიც და ტალინშიც, აქ მცხოვრებ თუ სასწავლებლად ან ექსკურსიაზე მყოფ ქართველ გულშემატკივართა ჯგუფები თბილისის კალათბურთელთა მონაწილეობით გამართულ მატჩებს რეგულარულად ესწრებოდნენ და ჩვენს სპორტსმენებს ამხნევებდნენ ჩვეული შეძახილებით: „დი-ნა-მო", „დი-ნა-მო"!... ასე იყო და ასეც იქნება. ვინა თქვა, ვინ გამოიგონა, რომ საქართველოს სპორტსმენებს, ჩვენი რესპუბლიკის მკვიდრნი, შინ თუ გარეთ „სპორტპროგნოზის" თამაშში გამარჯვებისათვის გულშემატკივრობენ, ანდა პირიქით, თუ პროგნოზი ჩვენს სპორტსმენთა სასარგებლო არ არის, საყვარელ გუნდსა თუ თანამემამულე სპორტსმენებს ზურგს აქცევდნენ?

ერთი სიტყვით, იურისმა ბუზი სპილოდ წარმოგვისახა, თემად კი გაუგებრობაზე აგებული საკითხი. ასეთ დროს იტყვიან, ჩიტი ბდღვნად არა ღირსო, მაგრამ ის უფრო გვაკვირვებს, რომ გაზეთ „სოვეტსკი სპორტში" ამას ვერავინ მიხვდა და გზა დაულოცა შეურაცხმყოფელ წერილებს მრავალმილიონიანი აუდიტორიისათვის გასაცნობად.

„სოვეტსკი სპორტის" — ჩვენთვის ყველასათვის საყვარელი და ავტორიტეტული გაზეთის ქებას, მოსაზრებებს, კრიტიკას რესპუბლიკის საზოგადოებრიობა ყოველთვის ანგარიშს უწევდა და უწევს. რეაგირება უაღრესად პრინციპული იყო მაშინაც კი, როცა ეჭვს არ იწვევდა ისიც, რომ ზოგიერთი პუბლიკაციის ავტორი ზედმეტად ემოციურ შეფასებას აძლევდა ჩვენი რესპუბლიკის ზოგიერთი სპორტსმენის თუ გუნდის საქციელს. მაგრამ ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს, მით უმეტეს, როცა ეს ეხება „სოვეტსკი სპორტს", რომელსაც არაერთი სიხარული მოუნიჭებია ჩვენი გულშემატკივრებისთვის, ჩვენი საზოგადოებრიობისათვის. ჩვენ, რა თქმა უნდა, შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ ვინმემ არ უნდა გააკრიტიკოს ჩვენი სპორტული ცხოვრება, რომელშიაც ნაკლი იმდენია, მარტო „სოვეტსკი სპორტს" კი არა, ძალიან ბევრ საკავშირო თუ რესპუბლიკურ გაზეთს დააპურებდა. მაგრამ, ვფიქრობთ, ობიექტურობა და ზომიერება, სიღრმე და ნაკლები ემოციურობა უნდა ახასიათებდეს ყველა პუბლიკაციას, რომელ გაზეთშიც უნდა იბეჭდებოდეს იგი.

ჯიმშერ ენუქიძე,
„კომუნისტის" სპეც. კორ.
დონეცკი, ტალინი, თბილისი.

საბჭოთა კავშირის პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში



გაცრუებული იმედი

ოთხი შეხვედრა — ოთხი გამარჯვება! ბეგი დარჩიამ სასიამოვნო სიურპრიზი შესთავაზა გულშემატკივრებს. თავიდან მისი გვარი ჩვენი გუნდის საგანაცხადო სიაში არ იყო. საქართველოს ნაკრების მწვრთნელების თხოვნით, ეს მოჭიდავე ბოლო მომენტში დაუშვეს საკავშირო ჩემპიონატზე. დარჩია ვალში არ დარჩა და ზედიზედ ოთხი მეტოქე დაამარცხა. ცხადია, ასეთ შედეგს არავინ ელოდა სპორტსმენისაგან, რომელსაც ტრავმის გამო კარგა ხანს არ უვარჯიშია. ვერ გეტყვით, ამიერიდან როგორ წარიმართება საქმე, მაგრამ დარჩიამ უკვე მოასწრო მაყურებლის გულის მოგება. ამისთვის „სულ ცოტა რამ" არის საჭირო; მეტოქის ტიტულებს არ უნდა შეუშინდე, ვაჟკაცურად უნდა იბრძოლო და ბოლომდე გაიღო ყველაფერი.

გუშინ, მეოთხე წრეში ჩვენს ფალავანს პრინციპული შერკინება ჰქონდა ბაქოელ ფაიგ გაბიბოვთან (უფრო ადრე დარჩიამ აშკარად დაჯაბნა როსტოველი მუოად ფაიზულაევი — 13:4). პირველი პერიოდი ბეგიმ საგრძნობი უპირატესობით მოიგო, შესვენების შემდეგ მდგომარეობა ნაწილობრივ შეიცვალა, მაგრამ საბოლოო გამარჯვება მაინც მას დარჩა — 8:6.

მძიმე წონაში, როგორც იციდ, ჩვენი რესპუბლიკის ორი წარმომადგენელი გამოვიდა ხალიჩაზე. გუშინ ახალგაზრდა ზაურ ცხადაძე მსოფლიო ჩემპიონ იგორ როსტოროცკისთან (ნოვოროსიისკი) დამარცხდა და გამოეთიშა ჩემპიონატს, ვასილ ქარსელაძემ კი მოსკოველ მიხეილ ჩერკასოვს მოუგო. ცხადია, კვლავ ყურადღების ცენტრში იყო გურამ გედეხაური. სართიჭალელი ფალავანი ისე ასპარეზობს, როგორც მსოფლიო ჩემპიონს შეჰფერის. მეექვსე წრეში გედეხაურმა მინსკელი ვლადიმერ ბოგუცკი დაამარცხა (10:3) და ფინალში გავიდა.

— ჩემი აზრით, გედეხაური ახლა გაცილებით უკეთ ჭიდაობს, ვიდრე შარშან, მსოფლიო ჩემპიონატზე, — გვეუბნება დასავლეთგერმანელი ინჟინერი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ჭიდაობაში კარლ შინდლერი, რომელიც „კლასიკოსთა" საკავშირო ჩემპიონატის ყოველდღიური სტუმარია. შინდლერი ქალაქ ფრაიბურგში ცხოვრობს და, როგორც მსაჯი, მოჭიდავეთა თითქმის ყველა დიდ შეჯიბრებას ემსახურება.

— ჩემთან ერთად კიდევ შვიდი გერმანელია ჩამოსული. ისინი ჭიდაობის თავგამოდებული ქომაგები არიან და თითქმის არც ერთ დიდ ტურნირს არ ტოვებენ, თუმცა ფედერაციულ გერმანიაში ჭიდაობა ისეთი პოპულარული ვერ არის, როგორც სპორტის ბევრი სხვა სახეობა. ასეთ გრანდიოზულ ეროვნულ ჩემპიონატს პირველად ვესწრები. ახლა უკვე არ მიკვირს, თუ რატომ ვერ უგებენ საბჭოთა ფალავნებს მთელ მსოფლიოში. შეჯიბრების სპორტული დონე არც ერთი საერთაშორისო მასშტაბის შეჯიბრებას არ ჩამოუვარდება... რაკილა თბილისში ვართ, თქვენს მოჭიდავეებს ვქომაგობთ. მე კარგად მახსოვს თედიაშვილი, ბლაგიძე... ყველა გვარს ვერ ვიხსენებ.

გუშინ საღამოს კიდევ სამი ჩემპიონი გამოვლინდა. 52 კგ, 74 კგ და 100 კგ. წონაში გამარჯვება შესაბამისად იზეიმეს ა. კალაშნიკოვმა (კიევი), დ. ტურლიხანოვმა (ალმა-ათა) და ა. ფედორენკომ (გროდნო). გურამ გედეხაური მეორე ადგილით დაკმაყოფილდა და ცხადია, ჭიდაობის ქომაგებს იმედი გაუცრუა.

ე. ბერიშვილი,
„კომუნისტის" მიმომხილველი.

მხატვრის ღიმილი

ყველა დროის ქართველი მსოფლიო ჩემპიონები კლასიკურ ჭიდაობაში: გივი კარტოზია, როსტომ აბაშიძე, რომან რურუა, ვახტანგ ბლაგიძე, მიხეილ ხალაძე, თემურ ყაზარაშვილი, თეიმურაზ აფხაზავა, გურამ გედეხაური. ჯ. კვანტალიანის მეგობრული შარჟი.

რედაქტორი
ნ. ფოფხაძე.

ტელევიზია — კვირა, 24 იანვარი

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 9.00 — ახალი ამბები. 9.15 — რიტმული ტანვარჯიში. 10.00 — „ბუნების საიდუმლოებანი". № 14 კინოჟურნალი. 10.20 — სპორტლოტო. 10.30 — მალვიძარა. 11.00 — ვემსახურები საბჭოთა კავშირს! 12.00 — დილის ფოსტა. 12.30 — მოგზაურთა კლუბი. 13.30 — მუსიკალური კიოსკი 14.00 — სოფლის საათი. 15.00 — ჯანმრთელობა. 15.45 — „ცისარტყელა" (კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა). 16.15 — ეს თქვენ შეგიძლიათ. 17.00 — დოკუმენტური ტელეფილმი „დარელი რუსეთში". VII და VIII სერია. 17.50 — სტუმრად ზღაპართან. 19.00 — საერთაშორისო პანორამა. 19.45 — მულტფილმები. 20.20 — ახალი ამბები. 20.25 — ლ. შეპიტკოს ფილმები ტელეეკრანზე. „შენ და მე". 22.00 — „ვრემია". 22.40 — ოპერის მოყვარულთა კლუბი. 23.40 — ახალი ამბები. 23.50 — ციგურაობა.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — პროგრამა „აზრი". ჩვენი ბაღი. 9.45 — კინოალმანახი „ჰორიზონტი". 10.45 — პორტრეტები. ვ. ა. ჟუკოვსკი. 11.45 — სკოლა: გარდაქმნის პრობლემები. 12.30 — მოგზაურთა კლუბი. 13.30 — ეკონომიკური ცოდნის საფუძვლები. ჟურნალი „ტელეეკო". 14.00 — ადამიანი. დედამიწა. სამყარო. 15.00 — მულტფილმები. 15.40 — ა. სოფრონოვი. „მილიონი ღიმილისათვის". ფილმ-სპექტაკლი. 17.50 — კინოჟურნალი „აღმოსავლეთ ციმბირი". 18.00 — „ესტაფეტა". ფიზკულტურულ-სპორტული პროგრამა. 20.00 — სატელევიზიო მუსიკალური აბონემენტი. რუსული სიმფონიური მუსიკა. პ. ი. ჩაიკოვსკი. 20.55 — რეკლამა. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 21.15 — დოკუმენტური ტელეფილმი „ტაში აკრძალულია". 21.25 — „ცისარტყელა" (დიდი ბრიტანეთი). 22.00 — „ვრემია". 22.40 — უცხოური ფილმის ეკრანი. 24.00 — ახალი ამბები.

თბილისი

პირველი პროგრამა. 9.40 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 9.50 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 10.10 — საესტრადო გასართობი პროგრამა. 11.00 — „სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები" 11.30 — კინოაფიშა. 12.00 — ქართული ხალხური სიმღერის შესწავლა. 12.30 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი. 13.00 — საკვირაო გამოფენა. 13.05 — შემეცნებითი გასართობი პროგრამა ახალგაზრდობისათვის. 14.05 — საკვირაო გამოფენა. 14.10 — სსრ კავშირის ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში. 14.40 — სატელევიზიო პროგრამა „ახალგაზრდობა". 15.55 — საკვირაო გამოფენა. 16.00 — „ვესტნიკი". 16.30 — კამერული მუსიკის ფესტივალი „ქება ვაზისა" (დასკვნითი კონცერტი). 18.10 — გარდაქმნის წახნაგები. გლეხკაცის ახდენილი ოცნება. 18.40 — ახალგაზრდობისათვის. რჩევა-დარიგება ახალგაზრდა დედებს. 19.00 — საერთაშორისო პანორამა. 10.45 — „ზღაპრის გუდა". 20.00 — მოამბე. 20.40 — ახალგაზრდობისათვის. „ქაბულის დროით 12 საათია". რეპორტაჟი ავღანეთიდან (პირველი და მეორე გადაცემის გამეორება). 22.00 — „ვრემია". 22.40 — ოპერის მოყვარულთა კლუბი. 23.40 — საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში. თბილისის „დინამო" — ცსკა.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 10633 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14